# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 19 სექტემბერი 2002 №177 (1699) | ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# გერმანული ჯავრი ლუდში ჩაიხრჩო

# ივო, დაალევინე ჩეხებს PIVO!





ბაიერნი — დეპორტივო 2:3. დამზაფვრელი როი მაკაი და დაზაფრული ოტმარ ჰიცფელდი



მილანი — ლანსი 2:1. იტალიელთა პირველი გოლი კახა კალაძის პასით იყო

გულის ჯავრს სასმელი აქარვებს და რადგან გერმანელები გამორჩევით ლუდს ეტანებიან, უნდა ვიფიქროთ, რომ წუხელ იქ უამრავი კათხა დაილია. საერთო გერმანული ჯავრიანობა კი ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე „დორტმუნდის“, „ლევერკუზენის“ და „ბაიერნის“ მარცხმა გამოიწვია. ნაგებაცაა და ნაგებაც — ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტი „ოლიმპიაკოსთან“ 2:6 შერცხვა. ამ მატჩში გამოცხვა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ჰეთ თრიქი — ბერძენთა იუგოსლავიელმა პრედრაგ ჯორჯევიჩმა გერმანელთა კარს სამჯერ ზუსტად გაარტყა. ყოფილი ლევერკუზენელებით, ბალაკითა და ზე რობერტოთი მომძლავრებულმა „ბაიერნმა“ კი საკუთარი „ოლიმპიაშტადიონიდან“ სამი ქულა გაატანა ესპანურ „დეპორტივოს“. აქაც ჰეთ თრიქი იყო — ჯორჯევიჩს ჰოლანდიელი როი მაკაი არ ჩამორჩა.

გამარჯვებით დაიწყო კახა კალაძის „მილანმა“. იტალიელებმა ფრანგული „ლანსი“ ხუთწუთიან მონაკვეთში ფილიპო ინძაგის გოლებით გატეხეს. „პიპომ“ პირველი ქართველის პასით შეაგდო.

აქვე ის გავიხსენოთ, რომ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად „მილანს“ გვარიანი ჯაფა დაადგა — ჩეხური „ლიბერეცი“ კერკეტი კაკალი კი გამოდგა, მაგრამ საფეხბურთო ღმერთმა „მილანი“ ლიგაში, „ლიბერეცი“ კი უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ მეტოქედ ინება.

ინება და დღეს ივო შუშაკის გაწვრთნილი „დინამო“ „ლიბერეცს“ საქმეში ნახავს. ჩეხთა თამაში კარგად შევისწავლე და მეტოქეს საკმაოდ ძლიერ გუნდად მივიჩნევო, მოკლედ უთქვამს გუშინ ლიბერეცში გამართულ პრესკონფერენციაზე ხორვატ მწვრთნელს. ჩეხთა დამრიგებელი ლადისლავ შკორპილი კი თურმე ენაწყლიანობდა — 80-იან წლებში თბილისში ვსტუმრობდი, 50 ჭიქა ღვინო დავლიე და ერთმა თქვენებურმა აპრილში ახალი წელი მომილოცაო.


30 სექტემბრიდან

ორშაბათობით და ხუთშაბათობით, შემდგომში სამშაბათობითაც

მო 1/X X X/2 იკითხეთ «კროკო»

გაზეთი აზარტული მკითხველებისთვის

ანგარიშები, კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები

ფასი 20 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. I ტური

### E ჯგუფი

**დინამო 2:0 ნიუკასლი**

1:0 შაცკიხი (17), 2:0 ხაცკევიჩი (62)
დინამო: რევა, ხაცკევიჩი (გავრანჩიჩი 76), ნესმაჩნი, საბლიჩი, ლეკო, ჩერნატი, პელეი, გუსინი, გიოანე, შაცკიხი, ლეანდრო (მელაშჩენკო 56)
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
ნიუკასლი: გივენი, ე. ობრაიენი, ჰიუზი (სოლანო 69), დაბიზასი, ბერნარი, გრიფინი, ვიანა (რობერი 69), სპიდი, დაიერი, შირერი (ამეობი 79), ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)
62 000 მაყურებელი

**ფეიენოორდი 1:1 იუვენტუსი**

0:1 კამორანეზი (32), 1:1 ვან ჰოოიდონკი (74)
ფეიენოორდი: ზუტებიერი, გიანი (ბომბარდა 70), ვან პაარენი, ვან ვონდერენი, ემერტონი, ჩ. სონგი, პარდო (კალუ 55), პაუვე, ონო, ვან ჰოოიდონკი, ბუფელი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვაიკი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ბირინდელი, ტაკინარდი, კამორანეზი (ბაიოკო 81), დავიდსი (ზენონი 65), ნედვედი, დელ პიერო (სალასი 76), დი ვაიო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
40 000 მაყურებელი

### F ჯგუფი

**მანჩესტერი 5:2 მაკაბი**

0:1 კატანი (8), 1:1 გიგზი (10), 2:1 სოლსკიაერი (35), 3:1 ვერონი (46), 4:1 ვან ნისტელროი (54), 4:2 კოენი (85), 5:2 ფორლანი (89პ)
მანჩესტერი: ბარტეზი (რიკარდო 66), ოში, ბლანი, ფერდინანდი, სილვესტრი, ბექჰემი, ფ. ნევილი, ვერონი, გიგზი (ფორლანი 55), ვან ნისტელროი (პიკე 74), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მაკაბი: ავატი, ხარაზი (კოენი 72), ბენადო, კეისი, ეზეოგორი, ბადერი, როსო, ალმოშნინო (ზანო 55), პრალია, ზანდბერგი (ისრაილევიჩი 67), კატანი
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
მსაჯი: პოლ ალერტსი (ბელგია)
63 439 მაყურებელი

**ოლიმპიაკოსი 6:2 ლევერკუზენი**

0:1 ელეფთეროპულოსი (22ა.გ.), 1:1 ჯოვანი (27), 2:1 იანაკოპულოსი (38), 3:1, 4:1, 5:1 ჯორჯევიჩი (44, 63პ, 73), 5:2 შნაიდერი (78პ), 6:2 ზეტერბერგი (86)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, პაცაცოგლუ, ვენეტიდისი, ანცასი, ანატოლაკისი, იანაკოპულოსი (ოფორი-კუაიე 83), კარამბუ, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ზეტერბერგი, ჯოვანი (ალექსანდრისი 86)
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
ლევერკუზენი: იურიჩი, ლუსიო, ჟივკოვიჩი, რამელოვი, შიმაკი, ვრანიეში, კლაინი (ბრდარიჩი 61), ბალიტში (ოჯიგვე 71), შნაიდერი, ბაშტურქი, ნოივილე
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
14 000 მაყურებელი

### G ჯგუფი

**მილანი 2:1 ლანსი**

1:0, 2:0 ინძაგი (57, 62), 2:1 მორეირა (76)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (ტომასონი 82), რივალდო (ამბროზინი 77), ინძაგი (ლაურსენი 86)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლანსი: ვარმუზი, ფერდინანდ კოლი, ბაკა, რ. სონგი, კულიბალი, დანგ-ფეინე (უტაკა 63), პ. ბ. დიოპი, ბლანშარი (ბაკარი 85), სიბიერსკი, ტომერი (კეიტა 63), მორეირა
მწვრთნელი: ჟოელ მიულერი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
70 259 მაყურებელი

**ბაიერნი 2:3 დეპორტივო**

0:1, 0:2 მაკაი (12, 45), 1:2 სალიჰამიჯიჩი (57), 2:2 ელბერი (64), 2:3 მაკაი (77)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (ჰარგრივსი 46), კუფური, ლინკე, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, იერემიესი (ნ. კოვაჩი 78), ბალაკი, ზე რობერტო (ცეკლერი 81), ელბერი, პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
დეპორტივო: ხუანმი, ჰექტორი, ნაიბეტი, დონატო, რომერო, ვიქტორი (რ. აკუნია 71), მაურო სილვა, სერხიო, ფრანი (კაპდევილა 67), ვალერონი, მაკაი (ლუკე 86)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
40 000 მაყურებელი

### H ჯგუფი

**ლოკომოტივი 0:2 გალათასარაი**

0:1 სარი (72), 0:2 არიფი (81)
ლოკომოტივი: ს. ო. ოვჩინიკოვი, ევსეევი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი (სენიკოვი 60), ლეკჰეტო, დრონდოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ხულიო სეზარი (ბაბა ადამუ 74), ბუზნიკინი (პიმენოვი 46)
მწვრთნელი: იური სიომინი
გალათასარაი: მონდრაგონი, ბულენტი, ჰ. უნსალი, ალმაგერი, უმითი, ბატისტა, ერგუნი, აიპანი (პინტუ 46), ფელიპე, ჰ. შაში (ა. მ. სარი 70), არიფი (ემრე აშიკი 84)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
20 000 მაყურებელი

**ბარსელონა 3:2 ბრიუგე**

1:0 ლუის ენრიკე (6), 1:1 სიმონსი (22პ) 2:1 მენდიეტა (40), 3:1 საველა (43), 3:2 ენგლებერტი (86)
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ფ. დე ბური, ნავარო, მენდიეტა (როჩემბაკი 76), ხავი, კოკუ, მოტა, ლუის ენრიკე (რიკელმე 73), საველა, კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, ბ. მარტენსი, შპილარი, ვან დერ ჰეიდენი (სტოიკა 58), სერებრიანიკოვი (ლესნიაკი 46), სიმონსი, ენგლებერტი, ს. მარტენსი (ნ. ჩეპი 71), მენდოსა, ვერჰეინი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)
70 000 მაყურებელი


მილანი — ლანსი. ფილიპო ინძაგი ფრანგებს ორჯერ საგოლედ გაექცა

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

**მაინცი 2:0 ტრირი**

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

**ზიგენი 1:3 ბაიერნი (მ)**

### ესპანეთი

თასის 1/32 ფინალი

**მურსია 1:0 პოლი ეხიდო**

### ინგლისი

პირველი დივიზიონი
IX ტური

**ქოვენთრი 1:1 შეფილდ უენსდი**

**ნოტინგემი 4:1 ჯილინგემი**

**რედინგი 0:2 ნორვიჩი**

მესამე დივიზიონი
IX ტური

**ბოსტონი 1:0 სუონსი**


მანჩესტერი — მაკაბი. ხუან სებასტიან ვერონის მესამე გოლმა ებრაელები მიწაზე დასცა


REUTERS
ოლიმპიაკოსი — ლევერკუზენი. დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი გერმანელებს ერთი გოლით „შეეშველა"


ოლიმპიაკოსი — ლევერკუზენი. პრედრაგ ჯორჯევიჩმა ლიგა ჰეთ თრიქით დაიწყო


REUTERS
ფეიენოორდი — იუვენტუსი. პიერ ვან ჰოოიდონკმა საჯარიმოდან მესამე ჯერზე გაიტანა

# ნეტავ ჩვენ რას ვუყურეთ? რა იშოვა ლეიქსოეშმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2002-2003
### პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

ჟილინა (ჩეხეთი) 2:0 გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
1:0 პიკლი (7), 2:0 სტრაჩენი (60)
გლაზგო რეინჯერსი: კლოსი, მუსკატი (კონტერმანი 60), მური, მალკოლმი, როსი, რიკსენი, ფერგიუსონი, რ. დე ბური (მოლსი 75), ლოვენკრანდსი, შ. არველაძე, კანიჯა (ლატაპი 87)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
მსაჯი: ხულიან როდრიგეს სანტიაგო (ესპანეთი)
3 427 მაყურებელი

აბერდინი (შოტლანდია) 0:0 ჰერტა (გერმანია)
აუსტრია (ავსტრია) 5:1 შახტარი (უკრაინა)
ბორდო (საფრანგეთი) 6:0 პუხოვი (სლოვაკეთი)
ლეიქსოეში (პორტუგალია) 2:1 პაოკ (საბერძნეთი)
ვიტესი (ჰოლანდია) 1:1 რაპიდი (რუმინეთი)

**თურმე** „აუსტრია“ — „შახტარის“ მატჩამდე ერთ-ერთ ავსტრიულ გაზეთს დონეცკური კლუბი აღმოსავლეთევროპულ „რეალად“ მოუნათლავს.

„მაღაროელები“ რამდენიმე დღით ადრე ჩასულან ვენაში. ნევიო სკალას და მის თანაშემწეს არქანჯელო შანიმანიკოს ლამის „აუსტრიას“ მატჩების ყველა ვიდეოკასეტა მოუძიებიათ. დასვეს ფეხბურთელები და ატრიალეს ფირი წინ და უკან. მერე „აუსტრია“ — „პაშინგის“ მატჩზეც წაუყვანიათ, მეტოქის ცოცხლად ნახვაც შეძლეს. საერთოდ კი „შახტარის“ პრეზიდენტ რინატ ახმეტოვს გუნდისთვის მიზნად უეფას თასის მოგება დაუსახავს. გვეეჭვება, რომ სკალამ სხვა რაღაც კასეტები მოიძია და „აუსტრია“ — „პაშინგის“ ნაცვლად სულ სხვა თამაშზე წაიყვანა ფეხბურთელები აბა, გუშინწინდელი 1:5 რას უნდა მივაწეროთ?

ყველაფერი სტუმართა სასარგებლოდ დაიწყო. სწრაფი გოლი და არცთუ მრისხანე მოწინააღმდეგე, რომელიც თმის ღერიდან ქუსლამდე შესწავლილია. რა დაემართათ დონეცკელებს, ამის მერე, უცნობია. ვლადიმირ იანოჩკომ ორ წუთში დუბლი იზეიმა. ვენელებმა ექსდეპორტივოელი ჯალმინიას წყალობით პირველი ტაიმის მიწურულს მესამე გოლიც მიითვალეს. ჯალმინიამ თერთმეტი მეტრიდან იხეირა.

შესვენების შემდეგ დანარჩენ უბედურებას ზუბოვის გაძევება დაემატა, თუმცა შეხვედრის ბოლომდე „მაღარო“ დანგრევას არ აპირებდა. თამაშის მიღეულს ტორსტენ პელსტადმა იანოჩკოს მიბაძა, სამ წუთში წყვილი გოლი შეაგდო.

ნევიო სკალას ნამატჩევს არაფრისმთქმელი სახე ჰქონდა და პრესკონფერენციაზე გუნდიდან წასვლის თაობაზე განცხადებაც გააკეთა, ოღონდ კლუბის პრეზიდენტისგან ჯერ დასტური არ მიუღია: „აზრზე ვერ მოვდივარ, რა დაემართათ ფეხბურთელებს. მათ უბრალოდ არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ მოედანზე. ანგარიშის გახსნა შევძელით, მერე კი ჩემთვის გაუგებარი ამბები ხდებოდა, რომლის ახსნაც შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვარ, პასუხისმგებლობა მთლიანად ვიკისრო და პრეზიდენტს ვთხოვო, გამათავისუფლოს.“



REUTERS

პატარა პორტუგალიელების დიდი სიხარული

ხულიან როდრიგეს სანტიაგო ესპანელი მსაჯია. მან შოთა არველაძეს ჩეხურ „ჟილინასთან“ გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. მანამდე ბარი ფერგიუსონი მეკარე კუჩერასთან წესების დარღვევაში ამხილა.

ამ დროისთვის „რეინჯერსი“ ორი ბურთის სხვაობით აგებდა. მასპინძლებმა მეშვიდე წუთზევე მოახერხეს კლოსის კარზე ხუფის ახსნა. გათამაშებული საჯარიმოს შემდეგ პიკლის დარტყმულს კლოსმა ვერაფრით უპასუხა. სამაგიეროდ, ბარი ფერგიუსონსვე ტაიმის შუაწელში შეეძლო გაექვითა, მაგრამ პაველ კუჩერამ არ დაანება. მალე ფერნანდო რიქსენის შორეულ გასროლილს „ჟილინის“ კარის ძელი შეეხმიანა.

მეორე ნახევარში „რეინჯერსმა“ გაშმაგებით შეუტია, თუმცა კონტრიერიშები კი ეპარებოდა. ლუდეკ სტრაჩენმა ორჯერ ზედიზედ გაიწია სტუმართა საჯარიმოსკენ. ერთხელ კრეიგ მურმა ივაჟკაცა, მეორედ კი კუჩერამ გრძელი პასი მიართვა სტრაჩენს, რომელმაც მცველები დაითხოვა და კლოსს აუღებელი დაურტყა. მასპინძელ საბუს შეეძლო მესამეც გაეტანა, თუმცა „რეინჯერსის“ მეკარემ ივარგა.

სტუმრები მიაწვნენ, მაგრამ ხან ძელი და ხან მცველი იგერიებდნენ ბურთს.

ალექს მაკლიში დაღონებული სულაც არ ყოფილა: „პირველი მატჩი იყო და ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება. ჩვენსას ვეცდებით. მეორე დასანანი გოლი გავუშვით. ეს ის შემთხვევაა, მომავალი თაობისთვის სასწავლებლად რომ გამოდგება.“

„ჟილინის“ და მით უმეტეს „აუსტრიას“ გამარჯვება „ლეიქსოეშის“ გამარჯვებასთან ვერ მოვლენ. პორტუგალიის რეგიონალლიგის გუნდმა ბერძნული „პაოკი“ გააკრა ბეჭებზე. გავა თუ არა შემდეგ წრეში „ლეიქსოეში“, არავინ იცის, მაგრამ მისი სახელი სულ ცოტა პატივისცემას უკვე იმსახურებს.

მასპინძლებმა მიმხვდურნი მეოთხე წუთზევე გააოგნეს. აბილიოს მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულს ბერძენი მცველები ასცდნენ და ჩასაფრებულმა ბრიტომ სტუმართა მეკარე უსაქმოდ დატოვა.

გალაღებულმა პორტუგალიელებმა „პაოკი“ ყურებით დაიჭირეს და ოცი წუთის განმავლობაში აქეთ-იქით იქნევდნენ. სადღაც ტაიმის შუაწელიდან ბერძნებმა დაალაგეს თამაში და მარიუშ კუკიელკამ კუთხურის შემდეგ რუი მარკუშის თავურით გაუტანა.

კარლოს აუგუსტო სუარეს ფარია „ლეიქსოეშის“ მწვრთნელია და ეტყობა, მართლა მწვრთნელი. პრემიერლიგაში იქნები თუ რეგიონალურში, უნდა იცოდე, რას აკეთებ. ჰოდა, მწვრთნელმა შეცვლა გამოიცნო. მოედანზე დეტინიო შეუშვა, რომელმაც გუერას პასი დაუფასა და პურლიოტოპულოსს აუღებელი უთავაზა. გარდა ამისა, იმავე დეტინიოს და ვინმე ივან სამორანოს მოგვარეს ასპროცენტიანი მომენტები გაუცვდებიათ, თორემ „პაოკის“ ბუმბულს ბოლომდე დაყრიდნენ.

კარლოს აუგუსტო პაერში აიწია სიხარულისგან: „მატჩამდე ვინმეს რომ ეთქვა, 2:1 მოიგებთო, სასაცილოდ არ მეყოფოდა, მაგრამ შეხვედრის მსვლელობისას ვნახე, გაცილებით დიდი სხვაობით შეგვეძლო გამარჯვება. მიუხედავად ამისა, „პაოკი“ მაღალი კლასის გუნდია და დარწმუნებული ვარ, საბერძნეთში ოფლის ღვრა და ცხრა პირი ტყავის გაძრობა გველის.“

**გაგა ხუციშვილი**



REUTERS

აუსტრია — შახტარი. სტუმარი დანიელ ფლორეა მასპინძელ პაულ შარნერზე მაღლა იხტა



REUTERS

ჟილინა — რეინჯერსი. „ჩაფარმა“ რონალდ დე ბურმა მიხალ შმარდას ზურგი უჩვენა

**ბოტსვანას** ეროვნულ ნაკრებს სათავეში იუგოსლაველი ვესელინ იულეჩი ჩაუდგა. კონტრაქტი ორწლიანია და მისი ხელმძღვანელობით ბოტსვანელები ოქტომბერში, აფრიკის თასის შესარჩევ მატჩში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუპირისპირდებიან. იულეჩს, რომელმაც ნაკრების მწვრთნელის პოსტზე სტენლი ჩოსვანე შეცვალა, აქამდე ანგოლის ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებსა და რუანდულ კლუბ „ავაადოში“ უმუშავია.

**ბრაზილიის** ნაკრების შემადგენლობაში 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი დიდა 68 წლის ასაკში გარდაიცვალა. ედვალდო ალვეშ დე სანტა როსა რიო დე ჟანეიროს საავადმყოფოში გასული კვირიდან იწვა კიბოს დიაგნოზით. შეგახსენებთ, რომ დიდას „ფლამენგოს“ შემადგენლობაში 50-იან წლებში 500 გოლი აქვს გატანილი. 1954-1955 წლებში კი „ფლას“-თან ერთად კარიოკას ჩემპიონატიც მოიგო. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ დიდა „ფლამენგოს“ ახალგაზრდულ გუნდთან მუშაობდა.

**შოტლანდიური** „სელტიკის“ შვედმა მეკარე მაგნუს ჰედმანმა „ჰიბერნიანთან“ დაშავებული კოჭის გამო ლიტვურ „სუდუვასთან“ უეფას თასის გუშინდელ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო. „ქოვენთრიდან“ 1,5 მილიონ გირვანქად გადმოყვანილი შვედი შესაძლოა, 6 ოქტომბრის „რეინჯერს“-„სელტიკის“ დაპირისპირებასაც გამოაკლდეს. კლუბის ექიმების ცნობით, ჰედმანი კიდევ ორ კვირას ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

**შვეიცარიულმა** „სენტ გალენმა“ 49 წლის მწვრთნელი, ჟერარ გასტიენ ... 

### ფეხბურთის რუკასთან



ლა გაათავისუფლა. მისი დათხოვნის მიზეზი 12-გუნდიან ჩემპიონატში გუნდის მეცხრე ადგილი და ბოლო ტურში „ციურიხთან“ განცდილი მარცხია. ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე მომავალ ტურში „სერვეტთან“ გუნდს „სენტ გალენის“ ახალგაზრდული გუნდის თავკაცი თომას შტუბი გაუძღვება.

**ლიბიის** ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრები დაშალა. გათავისუფლებულია ლიბიელთა იტალიელი მწვრთნელი ფრანჩესკო სკოკოც. ფედერაციის გადაწყვეტილება უცნაურია, მით უფრო, რომ სკოკო პოსტზე რვა თვის დანიშნული იყო, ორი კვირის წინ კი ლიბიელებმა აფრიკის კონფედერაციათა თასის შესარჩევ მატჩში კონგო დაამარცხეს.

**ხორვატიის** ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილი ვარსკვლავი ზვონიმირ ბობანი კარიერას ასრულებს. ამის შესახებ თავად 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა განაცხადა ზაგრებში გამართულ პრესკონფერენციაზე. ბობანის გაცილება 7 ოქტომბერს შედგება ზაგრებში. იმ დღეს ჯერ ბობანის ყოფილი კლუბები — ზაგრების „დინამო“ და „მილანი“ შეხვდებიან ერთმანეთს. თავად ბობანი თითო ტაიმს ორივე გუნდში ითამაშებს. შემდეგ კი მინდორზე 1998 წლის ხორვატიის და მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებები შეხვდებიან. ზაგრებში ჩასვლას მარკო ვან ბასტენი, ჟორჟ ვეა, ოლივერ ბირჰოფი და ალესანდრო დელ პიეროც გეგმავენ.

**გერმანიის** ნაკრებისა და „ბაიერნის“ ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი ფრანც ბეკენბაუერს ზინედინ ზიდანზე ძლიერად მიაჩნია. კაიზერ ფრანცის აზრით, ბალაკი გაცილებით მწვავედ უტევს, ვიდრე ფრანგი.

**იტალიური** „იუვენტუსის“ ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე შესაძლოა, მოედანზე უახლოეს ტურში, „ემპოლისთან“ გამოჩნდეს. შეგახსენებთ, რომ ტრეზეგემ წინასასეზონო შეკრებაზე მუხლის ტრავმა მიიღო, თუმცა „იუვეს“ ექიმები იმედოვნებენ, რომ შაბათისთვის თავდამსხმელს ფეხზე დააყენებენ.

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. A ჯგუფი

# გერმანელის გერმანელობა კი არა...
## ლიუნგბერგის ჯანმრთელობა დამილოცე ღმერთო

**არსენალი 2:0 დორტმუნდი**
1:0 ბერხკამპი (62), 2:0 ლიუნგბერგი (77)
არსენალი: სიმენი, ლუენი (ლორენი 74), კოული, კემბელი, კოული, ლიუნგბერგი (სიგანი 85), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი (ტური 89), ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, კელი, მაინრიხი, დედე, მადუნი, ფრინგსი, მეცელდერი, ფერნანდესი (მერლიხი 73), კოლერი, ევერტონი (რიჩა 73)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
34 907 მაყურებელი

„**მან საერთოდ** არ იცოდა, ითამაშებდა თუ არა დღეს. ეს ამბავი მხოლოდ დილით გაიგო. ასე რომ, მცირე სიურპრიზი გავუკეთე. მაგრამ, საბედნიეროდ, უფრო დიდი სიურპრიზი თურმე მე მელოდა" — თქვა ნამატჩევს „არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა.

ალბათ, არ გაგიჭირდათ იმის გამოცნობა, თუ ვინ იგულისხმა ფრანგმა სპეციალისტმა, თუ ვერ მიხვდით, გეტყვით — შვედი ნახევარმცველი ფრედერიკ ლიუნგბერგი. შეიძლება ითქვას, თამაში სწორედ მან მოიგო. ლიუნგბერგი გუნდის სული და გული იყო.

„ფრედი ბრწყინვალე ფეხბურთელია. ეს მან დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა" — ემოციებს ვერ მალავდა მატჩის შემდეგ ვენგერი.

არადა, „არსენალის" შვედი შემტევი ამ სეზონში პირველად გამოჩნდა „მეთოფეთა" რიგებში. გამოჩენაც ასეთი უნდა — მასპინძელთა ორივე გოლი მისი აქტიურობის შედეგი გახლდათ. ჯერ იყო და დენის ბერხკამპს გაუტარა ბურთი მალულად, რის შემდეგაც „მფრინავმა ჰოლანდიელმა" ცხრიანი გაარღვია, მერე კი ტიერი ანრის იდეალურ პასს მოუძებნა სწორი გაგრძელება — „დორტმუნდის" მეკარე იოლად მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა. ეს უკვე გამარჯვება იყო...

„ეს მატჩი ჩვენთვის ნამდვილი გამოცდა იყო. კარგია, რომ გავიმარჯვეთ. მეტოქეს სათამაშო დისციპლინით და ჟინით ვაჯობეთ". ესეც ვენგერის სიტყვებია.

ცხადია, საპირისპირო გუნებაზე იყო „დორტმუნდის" მესაჭე მათიას ზამერი. მისი აზრით, მეტოქემ დამსახურებულად მოიგო, თუმცა...

„ვფიქრობ, მეორე გოლის დროს ლიუნგბერგი ოფსაიდში იყო. პირველი გოლი კი ჩვენი უხეში შეცდომის ბრალი გახლდათ. მცველებმა უყურადღებოდ ითამაშეს". ასეთია ზამერის აზრი.

საერთოდ, გერმანელები პასიურობით გამოირჩნენ.. მათ ვერ შეძლეს „არსენალის" აგრესიული სტილის წინააღმდეგ გამკლავება, რაც მათიას ზამერმა მისი ფეხბურთელების გამოუცდელობით ახსნა. „არსენალი" კი უკვე დიდ გულზეა და ჯგუფიდან გასვლასაც რეალურად მიიჩნევს.

ამგვარად, არაგერმანული ხასიათით მოთამაშე „დორტმუნდმა" ოდნავ კი გააწვალა „არსენალი", მაგრამ ვერაფერი დააკლო. იმ დღეს „ჰაიბერის" მეფე ჰყავდა — ფრედერიკ ლიუნგბერგი.



ფრედერიკ ლიუნგბერგი გოლით დაბრუნდა

**ოსერი 0:0 პსვ ეინდჰოვენი**
ოსერი: კოლი, რადეტი, ტაურე, ბუმსონგი, მექსესი, ფულა, ლაშუერი, ტაინიო, ფადიგა, მვარუვარი (ა. გონსალესი 86), კამი
მწვრთნელი: გი რუ
პსვ ეინდჰოვენი: რუვველაარი, ოიერი, ჰოფლანდი, ბაინცე, ფოგელი, ბოგელუნდი, ბუმა, ვან დერ შააფი (ლუსიუსი 40), რომედალი, ბრუგინკი (ლეანდრო 86), კეჟმანი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
21 000 მაყურებელი

**შედარებით** მოსაწყენი, თუმც ჩვეულად დაძაბული გამოდგა A ჯგუფის მეორე მატჩი. ორი გამოცდილი სპეციალისტის, ფრანგი გი რუსა და ჰოლანდიელი გუს ჰიდინკის აზრთა ჭიდილი ფრედ დასრულდა. სტადიონზე შეკრებილმა 21 ათასმა გულშემატკივარმა გოლი ვერ იხილა, თუმც ამის შანსები კი იყო. მარტო მეკარესთან პირისპირ დარჩენილი მატია კეჟმანის მომენტი რად ღირს, რომელსაც „ოსერის" კარის დარაჯმა არ დაანება გატანა.

„პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ შემდეგ გამოვასწორეთ. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია — თქვა „ოსერის" მხცოვანმა თავკაცმა — ისე, მაინც მგონია, რომ ჩვენ უფრო გაგვიმართლა. ჩემი აზრით, დღეს ერთი ქულა მოვიპოვეთ, ვიდრე ორი დავკარგეთ."

დამწუხრებული ჩანდა გუს ჰიდინკი, რომელმაც ქართველი გოგა გახოკიძე მატჩის განაცხადშიც არ შეიყვანა.

„მოგებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიჭებმა ბევრი მომენტი გაანიავეს", განაცხადა ჰიდინკმა.

უპირატესობა ჰოლანდიელთა მხარეს იყო. ისინი უფრო მეტი მონდომებით თამაშობდნენ და შეტევებსაც აბამდნენ თავს, თუმც ხან სიზუსტე ღალატობდათ, ხანაც ფაბიენ კოლი იდგა კარში მედგრად.

მასპინძელთაგან მეკარის გარდა ცნობილი სენეგალელი „ცუდი ბიჭი" ხალილუ ფადიგა და ბენჟანი მვარუვარი გამოირჩეოდნენ.

საბოლოოდ გუნდებმა ერთმანეთის კარის გასაღების ძიებაში 90 წუთი გალიეს და ერთმანეთსაც უგოლოდ დაშორდნენ.

**ბაჩა ზალამბერიძე**

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. B ჯგუფი

**ბაზელი 2:0 სპარტაკი**
1:0 ჰ. იაკინი (60), 2:0 როსი (65)
ბაზელი: ცუბერბიულერი, კუენისი, ქამოზიტო, ჰ. იაკინი (სავიჩი 87), ბარბერისი, ჰაასი, ატუბა, ხ. როსი (ტუმი 75), კანტალუპი, მ. იაკინი, ხიმენესი
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
სპარტაკი: ჩერჩესოვი, კოვტუნი, კეპე, ხლესტოვი (ფლოუესინი 75), ჩუისე, ბარანოვი (მარსელო 76), კუდრიაშოვი, მოიზესი, დანიშევსკი, კალინიჩენკო (მიტრესკუ 72), ბესჩასტნიხი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
29 500 მაყურებელი

# რომანცევის მიმიკა ულიეს შეტევასავით გაუგებარია

**ბაზელის** გახსენება აღარ მინდა, მაგრამ საქმე ითხოვს. „სენტ იაკობის" ბინადარი „ბაზელი" და მისი მწვრთნელი კრისტიან გროსი დღეს უპოპულარესი წყვილია. გროსს ბოლო ვარჯიშის ჩატარება დახურულ კარს მიღმა მოუხდა, რადგან ფანობა საწერკალმებით დარბის მინდორზე ავტოგრაფების მოსაქუჩებლად.

მატჩის წინა ღამით „ბაზელის" ქალ-ფანთა ერთი ჯგუფი ქალაქის ქუჩებში დამფა-ზურნით დაეხეტებოდა. მოხეტიალენი „სპარტაკის" მოსეირნე მეკარე ჩერჩესოვს გადაჰყრიან და უთქვამთ, მოგებაზე კი არა, ფრეზეც არ იოცნებოთო.

მასპინძელ ქომაგთა ჯილა ფეხბურთელები არგენტინელები, ხიმენესი და როსი არიან. პირველმა სწორედ როსიმ დაარღვია სიმშვიდე და მეთხუთმეტე წუთზე საგოლე თავური ჰკრა. გვერდითმა მსაჯმა გოლის გაუქმება თამაშგარის გამო ითავა, რასაც მთავარი მსაჯიც დაეთანხმა.

როსიმ წადილის ასახდენად დამატებით ძალას უხმო. მალევე კუთხურიდან ჩაწოდებულს უთავაზა. ბურთი ძელმა მოიშორა. ცოტა ხანში დარტყმა ჰაკან იაკინსაც გაუცუდდა.

„სპარტაკს" ერთადერთი მომენტი ელირსა. კუდრაშოვის ახლო მანძილიდან დაძგერებული ცუბერბიულერმა კარში არ შეუშვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ტრიბუნაზე ვიღაცას შესცივდა და გასახურებლად ცეცხლი დაანთო. ცეცხლს კვამლი მოჰყვა, რომელიც მინდორზე გაიტყლარჭა. დაახლოებით სამი წუთი დასჭირდა მის გაქრობას. ის ცეცხლი ტრიბუნაზე კი ჩააქრეს, მაგრამ „სპარტაკის" კართან აალდა. კრისტიან ხიმენესმა საჰაერო ბრძოლა მოუგო კებეს, ჰაკან იაკინს მიაწოდა და 39 წლის ჩერჩესოვმა იაკინის გასროლილი ბურთი კარიდან გამოიტანა.

ხუთი წუთი დასჭირდათ მასპინძლებს მოსკოველთა საბოლოოდ მისაბნედად. როსიმ ცისარტყელასავით გადაჭიმული პასი მიიღო. კოვტუნი აერობიკაში მოვარჯიშესავით ფეხგაჭიმული დატოვა ბალახზე და მაქსიმალურად გაბღენძილი ჩერჩესოვის კარში მეორე გოლი შეაგდო.

სტუმრებს დრო კი ჰქონდათ თავზე საყრელად, მაგრამ თვითონ „სპარტაკის" ნაფლეთებს ჰგავდნენ, იმასღა ფიქრობდნენ, მესამე აღარ გავუშვათო.



შვეიცარიელ ანტონიო ესპოზიტოს სპარტაკელი მოიზესი გადაეღობა

როსის და ჩერჩესოვის კარის ხარიხას შორის ერთი „დიალოგი" კიდევ შედგა, როცა არგენტინელის დარტყმული რკინამ მოიშორა. მოსკოველებს, ფაქტობრივად, შანსი არ ჰქონიათ, „ბაზელს" კი არაერთხელ შეეძლო, ეხეირა.

„ჩვენ საერთოდ არაფერი გამოგვივიდა — თქვა ნამატჩევს „სპარტაკის" მეკარემ — ერთი ასპროცენტიანი საგოლე მომენტიც ვერ შევქმენით. მეტოქე გაცილებით კბილებალესილი იყო და დამსახურებულადაც გაიმარჯვა."

კიდევ: რომანცევს გუნდში ჰყავს ბრაზილიელი, ნიგერიელი, სენეგალელი, კამერუნელი და მაკედონიელი. კითხვაზე, თუ როგორ აგებინებს ფეხბურთელებს, მწვრთნელმა უპასუხა, მიმიკითო. ჰოდა, ივარჯიშოს ჯერ მიმიკაში...

**ვალენსია 2:0 ლივერპული**
1:0 აიმარი (20), 2:0 ბარახა (39)
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, რუფეტე (ანგულო 75), ალბელდა (დე ლოს სანტოსი 84), ბარახა, ვისენტე, აიმარი (მისტა 71), კარიუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ლივერპული: დუდეკი, ტრაორე, ჰიპია, დიაო (შეროუ 46), კარაგერი, რიისე, ჰამანი, ჯერარდი, მერფი (ბაროში 76), დიუფი (ოუენი 46), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაძევება: ჰამანი (77)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
38 000 მაყურებელი

**საერთოდ** „ლივერპული" სხვის სუფრაზე თავს ცუდად არ გრძნობს. მაგალითად, შარშან „ბორუსიას", „რომას" და „ბარსელონას" უგოლო ფრეები გამოსწურა. ფრე არაა ცუდი, მაგრამ, ცხადია, უფრო გამარჯვება სჯობს. ჟერარ ულიესაც დაუქადნია, ამიერიდან სტუმრად შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთო." ჩემპიონთა ლიგაში შეტევაა საჭირო, ბრძანა ფრანგმა სპეციალისტმა, შეხედეთ ვის მოუგია ლიგა, მათ, ვინც გოლების გატანაზე ფიქრობდა და არა დაცვაზე. მართალია, წინ წასულებმა შეიძლება გოლი აქეთ გავუშვათ, მაგრამ ბედის ძიება ისევ მეტოქის კართან სჯობს". ეს თქვა ულიემ „ვალენსიასთან" მატჩამდე და როგორც გამოჩნდა, ახალი წამოწყებისთვის ადგილი და მოწინააღმდეგე სწორად ვერ შეარჩია.

მეოცე წუთისთვის „ლივერპული" უკვე აგებდა, თუმცა ანგარიში მანამდე რუფეტესაც შეეძლო გაეხსნა. კარეუს ჩაწოდებულს კარისკენ გეზი ვერ მისცა.

მერე აიმარსაც მართებდა გატანა, რომელსაც კარეუს გაცუდებული დარტყმა შეენაცვლა.

გოლის სუნი ტრიალებდა დუდეკის კართან და გამოცხვა კიდეც. ბარახა-ალბელდა-აიმარის კომბინაცია არგენტინელმა გოლით დაასრულა.

ჟერარ ულიემ თავის გეგმები ცხოვრებაში ვერ გაატარა. მისი „ლივერპული" ფრთხილობდა და კანისარესის კარს სერიოზულად არც დამუქრებია.

მერსისაიდელთა თავკაცმა მეორე ტაიმში ელ-ჰაჯი დიუფი მაიკლ ოუენის ადგილზე დასვა, ოუენი კი მინდორზე შეუშვა, მაგრამ არც შეროუს არც მილან ბაროშის დახმარება „ლივერპულს" არ წაადგა.

მანამდე, პირველი ტაიმის მიწურულს, ბარახას შორიდან გასროლილი მეორედ აღმოჩნდა სტუმართა კარში.

შესვენების შემდეგაც „ვალენსიას" შესწევდა ძალა სხვაობის გასაზრდელად, ვიდრე „ლივერპულს" შესამცირებლად.

შეხვედრის დასრულებამდე ცამეტი წუთით ადრე დიტმარ ჰამანს მსაჯმა მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა.

ჟერარ ულიე: „ჩვენი დღე ნაღდად არ იყო. საზიზღრად ვითამაშეთ ბოლოს გამოვიდა ის, რაც ვნახეთ. ეს არ ჰგავდა იმ „ლივერპულს", მე რომ ვიცნობ. ნამატჩევს ფეხბურთელები საკუთარ თავზე ბრაზობდნენ, რადგან მსგავსი თამაშით საკუთარი პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ დააყენეს. ისიც მართალია, რომ უკეთესმა გუნდმა მოგვიგო. პაბლო აიმარი უმაღლესი კლასის შემსრულებელია, ბარახას გოლის არგაშვება კი, ვფიქრობ, შესაძლებელი იყო".

**გაგა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. C ჯგუფი

# კარგი 0:3 ძალიან კარგი


REUTERS

გუტის (მარჯვნივ) გოლებმა რომაელებს გული მოუკლა

**რომა 0:3 რეალი**

0:1 გუტი (41), 0:2 რაული (56), 0:3 გუტი (74)
რომა: ანტონიოლი, კუფრე (გვარდიოლა 46), დელასი, სამუელი, პანუჩი, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, კანდელა, მონტელა, კასანო (დელვეკიო 64)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე (მაკმანამანი 78), კამბიასო, ზიდანი (სოლარი 69), რაული, გუტი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
71 130 მაყურებელი

**„რომა“** კარგი გუნდია! „რეალთან“ 0:3 რომ წააგო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცუდია. რომაელებმა მადრიდელთა კართან მრავლად შექმნეს სახიფათო მომენტები, სხვა ამბავია, რომ ვერ გამოიყენეს — ფეხბურთში ყველაფერი ხდება. თან, „რომას“ დისკვალიფიცირებულნი, გაბრიელ ბატისტუტა და ფრანჩესკო ტოტი არ ჰყავდა, ხოლო, თუ რა ძალას წარმოადგენს ამ კლუბისთვის გნებავთ ერთი და გნებავთ მეორე, ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. ჰოდა, მასპინძელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, რომელიც იმ დღეს დასჯილი ბრძანდებოდა და სათადარიგოთა სკამის ნაცვლად ტრიბუნაზე იჯდა, შემადგენლობაც ერთობ ექსპერიმენტული გაიყვანა: მცველები, ლეანდრო კუფრე და ტრაიანოს დელასი დებიუტანტები გახლდნენ. და, ყველაფრის მიუხედავად, გუნდმა აგრესიული, სწრაფი ფეხბურთი ითამაშა. დღეს, გამარჯვებას სწორედ ასე მოთამაშენი აღწევენ, ოღონდ, ყველა მატჩში არა.

„რომაელებმა კარგად ითამაშეს და პირველ ტაიმში ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს ჩვენს კართან, მაგრამ ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და გავუძელით. რონალდო ხომ დამატებითი ძალა იქნება“ — განაცხადა მატჩის შემდგომ „რეალის“ ფრანგმა ვარსკვლავმა ზინედინ ზიდანმა.

„ვფიქრობ, უსამართლობა არ გამომივა თუ ვიტყვი, რომ ეს მატჩი ჩვენთვის ერთი ტაიმის თამაში გამოდგა. „რომამ“ თანაბარი წინააღმდეგობა პირველ ნახევარსა და მეორეს საწყის ხუთ წუთში გაგვიწია, შემდეგ კი უპირატესობა მოვიპოვეთ. პირველი გოლის შემდეგ რიტმი ვიგრძენით და მასპინძლებს პრობლემები შევუქმენით. ამ შეხვედრამ დიდებული სამსახური გაგვიწია, ახლა, პირველი, თან სტუმრად მოპოვებული გამარჯვების შემდეგ წინ წავალთ“ — კმაყოფილი იყო მადრიდელთა მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე.

„რომას“ მცველი კაფუ: „პირველ ტაიმში ჩვენ ვჯობდით, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ. გულწრფელად გეტყვით, „რეალი“ სამგოლიანი უპირატესობით არ გვჯობდა.“

იტალო გალბიატი, „რომას“ მწვრთნელი, რომელიც კაპელოს არყოფნაში ხელმძღვანელობდა გუნდს: „ჩვენ კარგად პირველი 50 წუთი ვითამაშეთ, მაგრამ მეორე გოლის შემდეგ გავნადგურდით. 0:3 მძიმე დამარცხებაა, თუმცა მადრიდელთა რეალური უპირატესობა შესაბამისი არ ყოფილა.“

„რომას“ ნახევარმცველი დამიანო ტომაზი: „ვფიქრობ, ანგარიში ჩვენ უნდა გაგვეხსნა და მაშინ თამაში სულ სხვანაირად წარიმართებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. „რეალის“ დონის გუნდთან გამარჯვება ძნელი საქმეა.“

პირველი უმწვავესი მომენტი „რომამ“ 38-ე წუთზე შექმნა, როდესაც კრისტიან პანუჩიმ (სხვათა შორის, „რეალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა) თავით ოდნავ ააცილა სტუმართა კარს. წუთის შემდეგ, ახალგაზრდა ანტონიო კასანომ 10 მეტრიდან გაუჩერებლად დაჰკრა ემერსონის ჩაწოდებულ ბურთს, მაგრამ ვერ დაუმიზნა.

ამის შემდეგ, მოედნის შუაში უკვე ფიგუმ გადააწოდა რაულს, მან ზიდანს, მაგრამ ზიდანმა ბურთი გუტის დაუთმო და ანგარიშიც გაიხსნა. შესვენებიდან 11 წუთში გუტიმ დარტყმა ვერ მოახერხა, თუმცა შეტევა რაულმა დააგვირგვინა, ხოლო 74-წუთზე, ისევ გუტიმ ჩამოიცილა „რომას“ ორი მცველი და მესამე შეაგდო.

**გენკი 0:0 აეკ**

გენკი: მონსი, ტომაშიჩი, ზოკორა, ბქალია, ტიისი, ვანზიურენი, დაერდენი, მარკო, სკოკო, სონკი, დაგანო
მწვრთნელი: სეფ ვერგოოსენი
აეკ: ხოტისი, ბორბოკისი (მეტკოვი 53), კონტენოლლუ, ზაგორაკისი, კასაპისი, რაიტი, კაცურანისი, კაშისი, ნალიცისი (ლაკისი 64), ცარტასი (მილადენისი 90), ნიკოლაიდისი
მწვრთნელი: დუშან ბაიევიჩი
მსაჯი: კონრად პლაუტცი (ავსტრია)
22 500 მაყურებელი

**ბელგიურმა** კლუბმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშება ათენის აეკ-თან უგოლო ფრით დაიწყო. თან, დახეთ, C ჯგუფში არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალი“ და „რომა“ თამაშობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „გენკი“ იქნება ეს თუ აეკი, ქულების კარგვა და 0:0-ები ორმაგად არ აწყობს.

ერთი სიტყვით, ბერძნებმა გვარიანად გაამაგრეს დაცვა და უესლი სონკისა და მუმუნი დაგანოს შეტევები კედელივით აიხსლიტეს. მეორე ტაიმი პირველისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ბერძნებმა გამგელებულ დაცვას რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა შეურიეს.

**ბაჩუნა ძიდია**

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. D ჯგუფი


REUTERS

ფაბიო კანავარომ ხელ-ფეხი ისე იქნია, რომ მსაჯს თავი გააძევებია

# ტლანქი რიტმი უფულოდ

## მუსლიმ-ლათინო დუბლბიჭები

**რუსენბორგი 2:2 ინტერი**

0:1 კრესპო (33), 1:1, 2:1 კარადასი (52, 64), 2:2 კრესპო (78)
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ჰოფტუნი, სტრანდი (სტენსასი 74), საარინენი, ოლსენი, სკამელსრუდი, ბერგი, კარადასი, ფ. იონსენი, ბრატბაკი
მწვრთნელი: ნილს-არნე ეგენი
ინტერი: ტოლდო, კანავარო, მატერაცი, კორდობა, კოკო, ხ. ძანეტი, დალმა (ემრე 62), ალმეიდა, მორფეო (რეკობა 76), ვიერი, კრესპო (ადანი 87)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაძევება: კანავარო (69)
მსაჯი: ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)
21 040 მაყურებელი

**შეიძლება** ითქვას, ჯგუფის ორივე მატჩი ორდინალური შედეგით დასრულდა. განსაკუთრებული მართლაც არაფერი მომხდარა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ოთხივე გუნდს თითქმის თანაბარი შანსი აქვს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

ეგაა, ურონალდოოდ დარჩენილი მილანის „ინტერის“ თამაში განსაკუთრებულად საინტერესო იყო. ბრაზილიელი კიჭა აღარაა, მაგრამ არის არგენტინელი ერნან კრესპო — „ლაციოსგან“ 26 მილიონ ევროდ ნაყიდი ფორვარდი ტრონდჰეიმში ყოჩაღობდა და დუბლიც გააზერხა.

ცნობილი ამბავია, რომ „რუსენბორგს“ დიდად ნიჭიერი ფეხბურთელები არ ჰყავს, მაგრამ ვინც ჰყავს, ყველა მშრომელი და მუყაითი ხალხი.

ეს თვით „ინტერის“ მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმაც აღნიშნა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე: „რიტმში ძალიან დიდი განსხვავება იყო“. ცხადია, კუპერი ნორვეგიელთა მონდომებას და შეუპოვრობას ასხამდა ხოტბას.

ტრონდჰეიმის ცივ, წვიმიან საღამოს მოუხდათ მილანელებს თამაში, თუმც გუნდებმა კართან გაუთავებელ ჩაწოდებებზე უარი თქვეს და ვერც იმას იტყოდა კაცი, ნორვეგიელები კუთხურების და საერთოდ სტანდარტულების იმედზე იყვნენო, მაგრამ სამი გოლი სწორედ კუთხურებს და ჩაწოდებას მოჰყვა.

27 წლის კრესპო სამ მცველს დაუსხლტა, შემდეგ მის დარტყმულს რიკოშეტი მოჰყვა და ნორვეგიელთა ისლანდიელი გოლკიპერი არნი არასონი უძლური შეიქნა.

ისე, ახალშენაძენმა „რუსენბორგსაც“ გაუმართლა — აზარ კარადასი 800 000 ევროდ დაიბევა მარტში „ბრანიდან“ და ამ 21 წლის შემტევმა 52-ე წუთზე ჩამოწოდებულ კუთხურს ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმა მიაყოლა. 12 წუთის შემდეგ კი ოდ ინგე ოლსენის ჩაწოდებულს თავური დაუხვედრა და „რუსენბორგიც“ დაწინაურდა, ხოლო კრესპომ ალვარო რეკობას კუთხურით ხელმეორედ იხეირა — არგენტინელმა შვიდი მეტრიდან გაათანაბრა.

ფაბიო კანავარო მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე გააძევეს ორი გაფრთხილების გამო, თუმც „ინტერი“ უმისოდაც მაგრად იდგა დაცვაში და მილანში ფასეული ქულით დაბრუნდა.

„მაღალი ხარისხის თამაში იყო. ჩვენ ცოტა სიტლანქე გამოვიჩინეთ მეტოქის კართან. „ინტერს“ კი უფრო ნაკლები საგოლე მომენტი ჰქონდა“ — თქვა ნამატჩევს „რუსენბორგის“ დამრიგებელმა ნილს არნე ეგენმა.

სხვათა შორის, ეს სპეციალისტი მატჩის დღეს 61 წლის გახდა და როგორც თვითონ განაცხადა, ეს მისი ბოლო სეზონია და პენსიაზე გასვლას აპირებს. ეგენმა ისიც დაამატა, კლუბის ხელმძღვანელობას იმის საშუალება არ ჰქონდა, რომ საამსეზონოდ ახალი ფეხბურთელების შესაძენად 665,300 ევროზე მეტი გამოეყო.

ასე რომ, რიტმის გარდა, კუპერის და ეგენის გუნდებში სხვა დიდი სხვაობაც არის.

**აიაქსი 2:1 ლიონი**

1:0, 2:0 იბრაჰიმოვიჩი (11, 34), 2:1 ანდერსონი (84)
აიაქსი: სტეკელენბურგი, ტრაბელსი, იაკუბუ, კოფი ჯ. ობრაიენი, გალასეკი (ვან ბაქსტი 57), ლიტმანენი, მაქსველი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი (ბერგდოლმო 81), სიკორა (პიენაარი 68)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ლიონი: კუპე, ედმილსონი, კასაპა, ვიოლო (ლაგილი 46), ბრუში, შანელე (დიარა 79), ჟუნინიო, დორასო, კარიერი, ს. ანდერსონი, გოვუ (ვირილი 41)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაძევება: იაკუბუ (85)
მსაჯი: მაიკლ რილი (ინგლისი)
50 000 მაყურებელი

**„ამსტერდამ არენაზე“** პირველი წუთები და პირველი ტაიმი „აიაქსის“ იყო. მისი 21 წლის მუსლიმი შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი კი კაი მადაზე გახლდათ და ორჯერაც შეაგდო.

არადა, ამ ფორვარდზე სულ იმას გაიძახიან, ნიჭიერია, მაგრამ ძალიან ბავშვური ხასიათი აქვს და სრულად ვერ იხსნება, ვერ აფრთქვევს თავის ტალანტსო. „თავდაჯერებულობისთვის გოლები და პატარა ყისმათიც მჭირდება, ამ საღამოს ორივე ეს იყო“ — თქვა ნამატჩევს ზლატანმა.

„მეორე ტაიმში საკმარისი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მოვიგეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ“ — დასძინა ნამატჩევს აიაქსელთა თავკაცმა რონალდ კუმანმა. მისი ფრაზა „საკმარისი ფეხბურთი“ კი მართლაც ორიგინალურია.

მეორე ტაიმში „ლიონის“ ბრაზილიელმა კაპიტანმა სონი ანდერსონმა ორი საგოლე მომენტი ქარს გაატანა, მესამე ცდაზე კი შეაგდო, მაგრამ უკვე მატჩის 84-ე წუთი იდგა.

და კიდევ. ძირძველი და ხელმეორედ გააიაქსებული იარი ლიტმანენი ამსტერდამელთაგან ერთადერთი იყო, ვისაც მანამდეც უთამაშია ჩემპიონთა ლიგაში.

**დავით თავართქილაძე**


REUTERS

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# ამის დროც მოსულა

## რომარიომ ბრაზილია ჩააფიქრა




დროა, რომარიომ შვილებს მიხედოს

**მსოფლიოს** მოღებული ამბავია: რომარიომ თავის თანაგუნდელ ანდრეს თამაშის დროს ხელი შემოარტყა, მათმა „ფლუმინენსემ" კი 0:6 წააგო „სან პაულუსთან".

ხელის შემორტყმა პირველ ტაიმში მოხდა, მაშინ, როცა მცველი ანდრე შეცდა, ხოლო რომარიომ თავისი გუნდის ზედიზედ უიღბლობით განაწყენებულმა საქმის გარჩევა მოედანზევე დაიწყო. მისმა ქცევამ კი გუნდზე საშინლად იმოქმედა და საშინელი მარცხიც უფრო ამ ინციდენტს მიეწერა.

„ფლუს" უფროსობის თანხმობით, 36 წლის რომარიო, როცა მოესურვება, მაშინ ვარჯიშობს და გასვლით თამაშებზეც ცალკე მგზავრობს. მისგან გოლებს ელიან, მაგრამ ეს საქმე წლეულს ნაკლებად გამოსდის. თუმცა, შარშან საერთობრაზილიური პირველობის მთავარმეგოლე იყო. მისი ახალი გუნდი „ფლუმინენსე" წლეულს ცუდად თამაშობს და რომარიოც ყველაფერს თანაგუნდელებს აბრალებს.

ბრაზილიაში კი სხვაგვარად ფიქრობენ — მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება — წერს „ო ლობოს" მიმომხილველი ფერნანდუ კალასანსი — „პირველად ცხოვრებაში, რომარიო გვაძლევს ამის თქმის საფუძველს".

„ფლუმ" კი ხელფასის 40 პროცენტი დაუქვითა მაჩხუბარა ფეხბურთელს და ეგებ რამდენიმეკვირიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწეროს.



რომარიოსგან ნაცემი ანდრე

ბრაზილიაში ახლა ბევრი ამბობს, რომ მარიო ზაგალოცა და ლუიშ ფელიპე სკოლარიც სწორად მოიქცნენ, როცა ზედიზედ ორი ჩემპიონატი გამოატოვებინეს რომარიოს.

**ლუარა ფრანგიშვილის ზაზიში**

# ოფოფი აფრინდა, შუქი ჩავიდა

## ბეტისი მადრიდით დასაჯეს

**ერთი ეს გაგვაგებინეთ,** არის თუ არა ოფოფების რაოდენობა პირდაპირ კავშირში ენერგეტიკასთან? არ ვიცი, თქვენ, როგორ ფიქრობთ, მაგრამ უნდა იყოს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ხალხს, როგორც კი ოფოფები მოეძალება, დენი მიდის. ნუ, ქართველების ოფოფსაშენზე და ბნელ ზამთრებზე ხომ ისედაც ყველაფერი ცნობილია და, ახლა, გვინდა სევილიელებზე გითხრათ: „ბეტისის" ქომაგებმა თანაქალაქელ „სევილიასთან" თამაშის დროსააფრინეს, პოლიციელების რაზმს ეძგერნენ, ჯაჭვი გაურღვიეს და მოედანზე შეცვივდნენ — ეს ოფოფები. შედეგად, ბოლო ტურში, მადრიდის „რეალთან" შეხვედრის დროს სტადიონზე, რომელსაც „მანუელ რუის დე ლოპერა" ჰქვია, შუქი ჩაქრა — ეს ენერგოკრიზისი.

ოფოფებისთვის ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „ბეტისი" სარბიელის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, ენერგოკრიზისისთვის — ჯერ უცნობია.

„ბეტისს", ნორმალური ქვეყნების წესისა და რიგის თანახმად, აპელაციის საშუალება მისცეს, მაგრამ თუ ფედერაციამ ის არ დააკმაყოფილა, მაშინ გუნდს 29 სექტემბერს „ბარსელონასთან" და 20 ოქტომბერს „მალიორკასთან" მადრიდში მოუწევს თამაში. რატომ მადრიდში? იმიტომ, რომ მადრიდელებს სევილიელები უყვართ.

**ბაკურ ძიძიძიბიძე**


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

**დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური**

**შპს «დარაკა»**

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, პეკ-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186


## ინგლისი

**I დივიზიონი. IX ტური**

**კრისტალ პალასი 0:1 დერბი ქაუნთი**
0:1 ძინძლაძე (83)
დერბი ქაუნთი: პოომი, ბარტონი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, ბოურჩიერი, მორისი, ონილი (მანტი 61), მიურეი, ბოლდერი, ქინქლაძე (ევანსი 88), კრისტი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მსაჯი: დოუდი
14 948 მაყურებელი

**ბრაიტონი 1:2 სტოკი**
0:1 მუნი (17პ), 0:2 კუკი (76), 1:2 კარპენტერი (79)

**ბარნლი 2:2 მილუოლი**
1:0 დ. ვესტი (18), 1:1 ლაივერმორი (31), 1:2 დევისი (64), 2:2 ი. მური (85)

**ლესტერი 4:0 ბრედფორდი**
1:0 დიქსი (27), 2:0 მ. ელიოტი (28), 3:0 დიკოვი (67პ), 4:0 სკოუკროფტი (90)

**პორტსმუთი 4:1 უიმბლდონი**
1:0 პერიკარი (3), 1:1 შიპერლი (11), 2:1 ტოდოროვი (31), 3:1 უილიამსი (38ს.კ.), 4:1 ტეილორი (72)

**პრესტონი 1:1 უოტფორდი**
0:1 რობინსონი (31), 1:1 კრესველი (73)

**შეფილდ იუნ. 2:1 გრიმსბი**
0:1 რობინსონი (8), 1:1 ელიოტი (82), 2:1 ტონჯე (89)

**უოლსოლი 3:4 როტერჰემი**
0:1 ბითილდი (14), 1:1 ზდრილიჩი (16), 1:2 ბითილდი (23), 1:3 ლი (30), 2:3 ზდრილიჩი (45), 3:3 ჟორჟე ლეიტაუ (62), 3:4 ლი (78პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 9 | 8 | 1 | 0 | 22:7 | 25 |
| ლესტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 18:10 | 22 |
| შეფილდი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:10 | 17 |
| ნორვიჩი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:6 | 15 |
| როტერჰემი | 9 | 4 | 3 | 2 | 17:11 | 15 |
| უოტფორდი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:14 | 14 |
| ქოვენთრი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:10 | 13 |
| ჯილინგემი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:9 | 13 |
| დერბი | 9 | 4 | 0 | 5 | 12:13 | 12 |
| ბრედფორდი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:10 | 12 |
| ვულვზი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:11 | 11 |
| ნოტინგემი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:7 | 10 |
| რედინგი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:9 | 10 |
| უიმბლდონი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:15 | 10 |
| იფსვიჩი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:5 | 9 |
| პრესტონი | 8 | 1 | 6 | 1 | 11:11 | 9 |
| კრ. პალასი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:9 | 9 |
| მილუოლი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:14 | 9 |
| სტოკი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| ბარნლი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:14 | 8 |
| უოლსოლი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | 7 |
| უენსდი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:12 | 6 |
| ბრაიტონი | 9 | 1 | 1 | 7 | 8:17 | 4 |
| გრიმსბი | 8 | 0 | 2 | 6 | 4:14 | 2 |

# უაიზი მოკვეთეს




ინგლისელი დენის უაიზი „ლესტერიდან" მოკვეთეს — იუწყება BBC. დიახ, ასეა საქმე, უაიზი ფიცხი კაცია, „ჩელსის" ყოფილ ფეხბურთელს ჯერ ფინეთში, „ლესტერის" შეკრებაზე შემოელახა თანაგუნდელი კალუმ დავიდსონი, ახლა კი დენისი კლუბის ბოსებს მისდგომია, თქვენი ასეც და ისეო.

რა მიზეზით წაეკიდა უაიზი უფროსებს, უცნობია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ 35 წლის ფეხბურთელს ახალი კლუბის ძებნა მოუწევს.

„უაიზი „ლესტერის" მაისურით ველარასოდეს ითამაშებს, მან ყველას შეურაცხყოფა მიაყენა" — წერია „ლესტერის" ვებ-გვერდზე.

**გიორგი გუგაძიძე**

## სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამგზ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰერტა-ჰამბურგი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-კოტბუსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| | 004 | ბაიერნი-კოტბუსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 18.30 | 005 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 18.30 | 006 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 007 | ჰანზა-დორტმუნდი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 18.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,25 | 1,25 | 1,6 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 20.30 | 009 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 20.30 | 010 | შტუტგარტი-არმინია | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 20.45 | 012 | ბურგჰაუზენი-ალენი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 013 | როიტლინგენი-ვალდჰოფი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 22.00 | 014 | ლიუბეკი-ალემანია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,75 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 015 | ფიურტი-ბრაუნშვაიგი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 18.00 | 016 | ფრაიბურგი-უნიონი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 18.00 | 017 | ზტ. პაული-მაინცი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 18.00 | 018 | ობერჰაუზენი-ტრიერი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 18.00 | 019 | კიოლნი-ლიუბეკი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| | | 23 სექტემბერი | | | | | | |
| 23.15 | 020 | კარლსრუე-აინტრახტი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი) IX ტური** | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 021 | ბაილსბურგი-ოსნაბრიუკი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 022 | დინამო-ლევერკუზენი(მ) | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,75 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 023 | კიოლნი(მ)-პადერბორნი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 17.00 | 024 | ქემნიცი-აუე | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,5 |
| 17.00 | 025 | მიუნსტერი-დორტმუნდი(მ) | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 17.00 | 026 | ესენი-კილი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 17.00 | 027 | ვუპერტალი-დრეზდენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 028 | ფერლი-ჰამბურგი(მ) | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,5 |
| 17.00 | 029 | ვერდერი(მ)-უერდინგენი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XI ტური** | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 031 | ელვერსბერგი-ფულენდორფი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,5 |
| 22.00 | 032 | კიკერსი-შვაინფურტი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.00 | 033 | უნტერჰახინგი-ერფურტი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 17.30 | 034 | აინტრახტი(მ)-აუგსბურგი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,2 | 1,2 | 1,65 |
| 17.30 | 035 | რეგენსბურგი-აალენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 17.30 | 036 | ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 037 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ოფენბახი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 18.00 | 038 | ბაიერნი(მ)-ვეენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 16.15 | 039 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 19.00 | 040 | არსენალი-ბოლტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | 041 | არსენალი-ბოლტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 19.00 | 042 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| | 043 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 044 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| | 045 | მანჩესტერი-ტოტენჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 19.00 | 046 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 19.00 | 047 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,5 |
| 19.00 | 048 | ვესტ ჰემი-სიტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 049 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1,75 | 2,3 | 4,2 | 1 | 1,2 | 1,45 |
| 19.00 | 050 | ბლეკბერნი-ლიდსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| | | 23 სექტემბერი | | | | | | |
| 24.00 | 051 | ფულჰემი-ჩელსი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| | | **იტალია. სერია "A". III ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 131 | მილანი-პერუჯა | 1,3 | 4,2 | 9,0 | 1 | 1,1 | 2,85 |
| | 132 | მილანი-პერუჯა 0:1 | 1,85 | 3,0 | 2,8 | | | |
| 23.30 | 133 | ემპოლი-იუვენტუსი | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,8 | 1,2 | 1,1 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 134 | ატალანტა-ბოლონია | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| 18.00 | 135 | კომო-ბრეშა | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 18.00 | 136 | პარმა-კიევო | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 18.00 | 137 | პიაჩენცა-უდინეზე | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,25 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 138 | რეჯინა-ინტერი | 4,2 | 3,0 | 1,85 | 1,7 | 1,25 | 1,1 |
| 18.00 | 139 | ტორინო-ლაციო | 2,5 | 2,9 | 2,9 | 1,3 | 1,3 | 1,4 |
| 23.30 | 140 | რომა-მოდენა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| | 141 | რომა-მოდენა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **იტალია. სერია "B". IV ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 23.30 | 142 | ასკოლი-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,4 | 1,4 | 1,3 | 1,25 |
| 23.30 | 143 | ვენეცია-ბარი | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,2 | 1,35 | 1,45 |
| 23.30 | 144 | ლეჩე-სალერნიტანა | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,05 | 1,25 | 1,85 |
| 23.30 | 145 | ლივორნო-ტრიესტინა | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,1 | 1,3 | 1,75 |
| 23.30 | 146 | მესინა-კატანია | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,1 | 1,3 | 1,7 |
| 23.30 | 147 | ნაპოლი-კოზენცა | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1 | 1,2 | 2,1 |
| 23.30 | 148 | პალერმო-სიენა | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,1 | 1,3 | 1,75 |
| 23.30 | 149 | ტერნანა-კალიარი | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 23.30 | 150 | ჯენოა-ვერონა | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,1 | 1,3 | 1,55 |
| 23.30 | 151 | ვიჩენცა-ანკონა | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,15 | 1,3 | 1,6 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. III ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 23.30 | 173 | რეალი-ოსასუნა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| | 174 | რეალი-ოსასუნა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 24.00 | 175 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,4 | 3,8 | 7,8 | 1 | 1,15 | 2,55 |
| | 176 | ბარსელონა-ესპანიოლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 00.30 | 177 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 178 | დეპორტივო-ვალიადოლიდი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 00.30 | 179 | მალაგა-ვალენსია | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,35 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 180 | მალიორკა-ატლეტიკო | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 181 | რაიო-რასინგი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 21.00 | 182 | ვილიარეალი-ალავესი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 21.00 | 183 | უელვა-სელტა | 3,0 | 3,0 | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,3 |
| 22.00 | 184 | სევილია-ბილბაო | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,5 |
| 23.30 | 185 | სოსიედადი-ბეტისი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. III ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 21.30 | 186 | ეიბარი-კორდობა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,1 | 1,3 | 1,7 |
| 21.30 | 187 | ალმერია-ლევანტე | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| 21.30 | 188 | ნუმანსია-ალბასეტე | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 189 | ბადახოსი-ეხიდო | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,15 | 1,3 | 1,65 |
| 15.30 | 190 | ხერესი-ტენერიფე | 2,8 | 2,8 | 2,5 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 21.00 | 191 | ოვიედო-ფეროლი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,1 | 1,3 | 1,75 |
| 21.00 | 192 | ხაენი-სპორტინგი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,65 |
| 21.00 | 193 | სარაგოსა-მურსია | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,25 | 1,95 |
| 21.00 | 194 | ლას პალმასი-კომპოსტელა | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,25 | 2 |
| 21.00 | 195 | ტერასა-სალამანკა | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 21.00 | 196 | ელჩე-ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,7 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. VIII ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 20.15 | 197 | ლიონი-მონაკო | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 198 | აიაჩო-სოშო | 2,3 | 2,8 | 3,2 | 1,25 | 1,3 | 1,45 |
| 23.00 | 199 | ოსერი-სედანი | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 23.00 | 200 | ბორდო-ლანსი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1 | 1,05 | 1,7 |
| 23.00 | 201 | ლე ავრი-მარსელი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 23.00 | 202 | ლილი-გენგამი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 23.00 | 203 | ნიცა-ტრუა | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,25 | 1,8 |
| 23.00 | 204 | რენი-ნანტი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 23.00 | 205 | სტრასბური-მონპელიე | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,2 | 1,3 | 1,55 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 23.45 | 206 | პსჟ-ბასტია | 1,45 | 3,4 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | 207 | პსჟ-ბასტია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. IX ტური** | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 19.30 | 208 | ტულუზა-ვასკალი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,25 | 1,8 |
| 23.30 | 209 | მეცი-სტ.ეტიენი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,25 | 1,8 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 23.00 | 210 | ამიენი-ბოვე | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| 23.00 | 211 | კლერმონი-ლავალი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| 23.00 | 212 | გრენობლი-შატორუ | 2,3 | 2,8 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| 23.00 | 213 | გენიონი-კანი | 2,8 | 2,8 | 2,5 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 23.00 | 214 | ისტრი-ვალანსი | 2,3 | 2,8 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| 23.00 | 215 | ლე მანი-ნიორი | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,05 | 1,25 | 1,9 |
| 23.00 | 216 | რუანი-კრეტეი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21.30 | 217 | ლორიანი-ნანსი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,25 | 1,8 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 21.15 | 218 | ბელენენსეში-ფეირენსე | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,75 |
| 01.00 | 219 | ბენფიკა-ლეირია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| | 220 | ბენფიკა-ლეირია | 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 221 | ბრაგა-მორეირენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 20.00 | 222 | ჟილ ვისენტე-აკადემიკა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 20.00 | 223 | მარიტიმუ-სეტუბალი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 20.00 | 224 | ბეირა მარი-ნასიონალი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | 23 სექტემბერი | | | | | | |
| 23.15 | 225 | სპორტინგი-ვარზიმი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | 226 | სპორტინგი-ვარზიმი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 01.30 | 227 | გიმარაეში-პორტუ | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,5 | 1,25 | 1,2 |

**პორტუგალია. II ლიგა. IV ტური**

| 5 | ხმელი ბლშანი(14) | 06.04 | 04.05 | 18.05 | 0:0 | | 1:1 | 27.10 | 02.03 | 20.04 | 16.03 | 10.11 | 07.10 | 01.06 | 1:0 | : | : | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 6 | ვიქტორია ჟიჟკოვი პრაღა(3) | 04.05 | 27.10 | 10.11 | 16.03 | 16.02 | | 01.06 | 2:2 | 18.05 | : | 07.10 | 20.04 | 06.04 | 02.03 | : | 1:0 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| 7 | ბანიკი ოსტრავა(6) | 02.03 | 20.04 | 20.10 | 25.05 | 11.05 | 17.11 | | : | 07.10 | 1:0 | : | 16.03 | 5:1 | 03.11 | 06.04 | 16.02 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| 8 | სიგმა ოლომოუცი(10) | 10.11 | 0:0 | 01.06 | 29.09 | 1:0 | 23.03 | 09.03 | | 1:2 | 27.04 | 23.02 | 18.05 | 27.10 | 1:1 | 04.05 | 13.04 | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| 9 | ბობი ბრნო(9) | 1:2 | 0:1 | 11.05 | 17.11 | 29.09 | 03.11 | 27.04 | 16.03 | | 16.02 | 06.04 | : | : | 20.10 | 02.03 | 25.05 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| 10 | დუკლა პრიბრამი(13) | 20.04 | 01.06 | : 2:1 | 23.02 | 1:2 | 13.04 | 23.03 | 07.10 | 0:0 | | 18.05 | 10.11 | 04.05 | 09.03 | 27.10 | 2:1 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| 11 | სინოტი სტარე მესტო(11) | 16.03 | 02.03 | 29.09 | 16.02 | 25.05 | 27.04 | 13.04 | 1:1 | 3:2 | 03.11 | | 2:0 | : | 11.05 | 17.11 | 20.10 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| 12 | ჩესკე ბუდეიოვიცე(ა) | 1:3 | 13.04 | 1:3 | 20.10 | 27.04 | 29.09 | 2:1 | 03.11 | 09.03 | 25.05 | 23.03 | | 02.03 | 17.11 | 16.02 | 11.05 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:13 | 6 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| 13 | ტეპლიცე(7) | 16.02 | 23.03 | 1:3 | 03.11 | 17.11 | 2:1 | 23.02 | 11.05 | 13.04 | 20.10 | 09.03 | 2:1 | | 29.09 | 25.05 | 27.04 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | 6 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| 14 | ჰრადეც კრალოვე(12) | 07.10 | 10.11 | 1:1 | : | 23.02 | 2:3 | 18.05 | 06.04 | 04.05 | : | 27.10 | 01.06 | 20.04 | | 1:1 | 16.03 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:8 | 4 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 15 | ბოჰემიანსი პრაღა(4) | 18.05 | 0:1 | 23.02 | 27.04 | 13.04 | 09.03 | 2:1 | 20.10 | 2:3 | 11.05 | 01.06 | 2:3 | 10.11 | 23.03 | | 29.09 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:13 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| 16 | ზლინი(ა) | 01.06 | 18.05 | 23.03 | 1:1 | 09.03 | 23.02 | 1:1 | : | 10.11 | 06.04 | 04.05 | 27.10 | 07.10 | 1:1 | 20.04 | | 6 | 0 | 3 | 3 | 5:11 | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |



# ულმერთო თბილისში თრობის საათია

## პან შკორპილს 50-ე ჭიქაზე აპრილში ახალი წელი მიულოცეს

*მაშ ასე, დღეს ევროტურნირებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული გუნდი თბილისის „დინამო“ სტუმრად გაეჯიბრება ჩეხეთის ჩემპიონს.*

*„დინამო“ მატჩამდე სამი დღით ადრე ჩავიდა ჩეხეთში და ლიბერეცის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდა. ლიბერეცში თურმე სამი ოთხვარსკვლავიანი სასტუმროა, ხუთვარსკვლავიანი მხოლოდ ერთი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პატარა ქალაქს პროვინციას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ და საფეხბურთო გუნდიც ერთობ სოლიდური ჰყავს*

**ლიბერეცში** „დინამოს“ ვარჯიშს ორზე იქ მცხოვრები ქართველი დაესწრო, თუმც შესაძლოა, პრაღიდანაც აიბარგოს რამდენიმე ქართველი „დინამოს“ საგულშემატკივროდ.

დინამოელებმა გუშინ მესამედ ივარჯიშეს ლიბერეცში, თუმც ამჯერად სწორედ „სლოვანის“ სტადიონზე, რომელზეც გაიმართება მატჩი. „დინამომდე“ მინდორზე „ლიბერეცი“ გავიდა სავარჯიშოდ, ხოლო შუალედში სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია მოეწყო, რომლის შესახებაც „დინამოს“ პრესსამსახურისგან შევიტყვეთ.

ჩეხ და ქართველ ჟურნალისტებს ჯერ „ლიბერეცის“ მწვრთნელი ლადისლავ შკორპილი ესაუბრა.

— თბილისში 80-იან წლებში ვიყავი. მაშინ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდულ ნაკრებს ვახლდი. მოხარული ვარ, რომ იქ კიდევ ერთხელ ჩავალ. მაშინ ძალიან ბევრი ღვინო დავლიე და როცა 50-ე ჭიქაზე ავედით, ერთ-ერთმა თბილისელმა მითხრა, ამ სასმისით ახალ წელს გილოცავთო. ვუთხარი, ახლა აპრილია, ახალი წელი უკვე იყო მეთქი, მაგრამ სადღეგრძელო მაინც შეისვა. ერთი სიტყვით, თბილისში კარგი დრო ვატარე.

**— ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „იაბლონეცს“ 3:0 უგებდით, მაგრამ მატჩი 3:3 დამთავრდა. რითი ახსნიდით მატჩის ასეთ შემობრუნებას?**

— ორი გოლი სტანდარტული სიტუაციიდან გავუშვით, მესამე კი საკუთარ კარში მივიღეთ მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში.

**— ეს მატჩი ყველამ ვნახეთ და ისიც, თუ როგორ გაუშვით გოლები. მაგრამ ჩვენ ის გვაინტერესებს, რატომ მოხდა ასე?**

— ფეხბურთის ღმერთმა ასე ინება და იმიტომ. ჩვენი ქართველი სტუმრები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკიდან არიან და შესაძლოა, ასეთ განმარტებას ვერ ჩასწვდნენ — ისინი ღმერთთან მწყრალად არიან.

**— ღმერთთან მწყრალად ნამდვილად არ ვართ, მაგრამ თუ საფეხბურთო ღმერთიც არსებობდა, ეგ ნამდვილად არ ვიცოდით. მატჩზე და თბილისის „დინამოზე“ რას იტყოდით?**

— ყველა მეტოქესთან თამაში 0:0-ზე იწყება და ოდნავ მოდუნებაც კი შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს. თანაც ეს ევროტურნირებია, სათასო მატჩები. მართალია, „დინამო“ ახლა ისეთი ძლიერი არაა, როგორიც ადრე, მაგრამ მეტოქეს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

**— ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „მილანს“ შინ 2:1 მოუგეთ, მაგრამ იტალიელები სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გავიდნენ ლიგაში. ყველაფერმა ამან როგორ იმოქმედა ფსიქოლოგიურად თქვენს გუნდზე?**

— ფეხბურთში ხან მოიგებ, ხან წააგებ. თანაც დაძაბული, ინტენსიური კალენდარი გვაქვს და დარდისთვის დროც კი არ გვრჩება.

**— მილანელი ქართველი კახა კალაძე მოგეწონათ?**

— „მილანის“ ყველა მოთამაშე მომეწონა.

აი, ასე დასრულებულა „ლიბერეცის“ დამრიგებლის პრესკონფერენცია და „დინამოს“ ხორვატი თავკაცის ჯერიც მალე დადგა. ივო შუშაკსაც კითხვები იქაურმა და ჩვენებურმა ჟურნალისტებმა დაუსვეს.

— „ლიბერეცის“ ორი თამაში ვნახე „მილანთან“, ორიც ეროვნული ჩემპიონატის და ყოველგვარი პირფერობის გარეშე ვამბობ, რომ „ლიბერეცი“ კარგი გუნდია, მისი სახით ერთობ ძნელი მეტოქე გვყავს. ბოლო ორ სეზონში „ლიბერეცი“ ათ ევროპული დონის გუნდს ეთამაშა, ჩვენ გუნდს კი ასეთი გამოცდილება არ გააჩნია. თანაც „დინამო“ ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ეს ფაქტები რომ დავდოთ სასწორზე, ფავორიტი „ლიბერეცია“, მაგრამ, ამავე დროს ისეთი ხელსაწყოც არ არსებობს, ფავორიტის ზუსტად გაზომვა შეძლოს.

**— როგორი განწყობაა თქვენს გუნდში?**

— დარწმუნებულნი ვართ, კარგ შედეგს მივაღწევთ. ამისი რომ არ მჯეროდეს, ცუდი მწვრთნელი ვიქნებოდი. უკვე რვა თვეა „დინამოში“ ვმუშაობ და გუნდის პროგრესს ნათლად ვხედავ. მჯერა, რომ „დინამო“ ყველას დაანახებს ამას.

**დავით თავართქილაძე**



ლადისლავ შკორპილი



ივო შუშაკი

# ძოძუაშვილი ილუმჟინოვს კიკალიშვილმა ურჩია

## რუსეთში წასული მწვრთნელი დაბეჩავებულ ქართველებს ელისტაში გამოაყვებავს



*ქუთაისის „ტორპედოს“ ორჯერ გამაჩემპიონებელმა რევაზ ძოძუაშვილმა ცოტა ხანს რომ დაისვენა, ახალი სამუშაოს შოვნა დიდხანს არ დასჭირვებია. ორი-სამი კვირა იქნება, ქართველი მწვრთნელი, რომელიც ადრე ლატვიის ნაკრებსა და იქაურ „სკონტოს“, მერე კი არაბულ „ალ იტიჰადს“ ხელმძღვანელობდა, ახლა რუსული პრემიერლიგის აუტსაიდერ ელისტის „ურალანის“ თავკაცად დაინიშნა და ამჟამად ერთადერთი ქართველია, ვინც უცხოურ გუნდს წვრთნის.*

*რევაზ ძოძუაშვილის დარიგებულმა „ურალანმა“ პრემიერლიგაში უკვე სამი მატჩი ჩაატარა. ყალმუხებმა შინ მოსკოვის „სპარტაკს“ ქულა დასტყუეს, „ალანია“ დაამარცხეს, ბოლოს კი იაროსლავში „შინიკთან“ 0:1 წააგეს. „ურალანის“ მიზანი ახლა ერთია — უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება. არადა, სეზონის დაწყებამდე ეს გუნდი ფინანსურად რომ მომძლავრდა და პრემიერლიგაში ალზევდა, ევროსაგზურს უმიზნებდა. მოგვიანებით კი, როცა „ურალანის“ გეგმები ჩაფლავდა, ყალმუხები სერგეი პავლოვს დაემშვიდობნენ და მშველელად ქართველ მწვრთნელს უხმეს*

— „ურალანთან“ რუსეთში მოსაქმე ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა ანზორ კიკალიშვილმა დამაკავშირა. ყალმუხეთის პრეზიდენტსა და კლუბის პატრონ კირსან ილუმჟინოვს ჩემი კანდიდატურა სწორედ მან შესთავაზა — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა, როცა ელისტაში დავუკავშირდით — პავლოვისგან რომ ილუმჟინოვმა სასურველი შედეგი ვერ მიიღო, მწვრთნელის ძებნა დაიწყო და კიკალიშვილის შუამავლობით დამიკავშირდა. შემოთავაზებას როცა დავთანხმდი, პრეზიდენტმა და კლუბის სხვა უფროსებმა კიდევ ბევრი იფიქრეს და საბოლოო გადაწყვეტილება ახლახან მიიღეს.

**— სამი მატჩი უკვე ჩაატარა „ურალანმა“ თქვენი ხელმძღვანელობით. აქვს ამ გუნდს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნების პერსპექტივა?**

— დღესდღეობით სახიფათო ზონაში კი ვიმყოფებით, მაგრამ მგონია, რომ უახლოეს ორი-სამი ტურის შემდეგ მდგომარეობას გამოვასწორებთ. ადგილის შენარჩუნების შანსი მეტი გვაქვს, ვიდრე გავარდნის. ტრავმირებულები ნელ-ნელა ჯანზე მოდიან, მე გუნდს უკვე შევეგუე, ფეხბურთელთა შესაძლებლობებზე მეტ-ნაკლები წარმოდგენა შევიქმენი, ბიჭები ჩემს მითითებებს ასრულებენ. გუნდში ერთსულოვნებაა, ეს კი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

**— ქუთაისის „ტორპედოდან“ სევასტი თოდუა წაიყვანეთ. „ურალანში“ სხვა ქართველ ფეხბურთელთა გადაბირებასაც ხომ არ აპირებთ?**

— როცა ელისტაში ჩამოვედი, ნახევარი გუნდი ტრავმირებული დამხვდა. განსაკუთრებით დაცვაში გვიჭირდა. ამიტომაც დავუკავშირდი „ტორპედოს“ და თოდუას. მათგან თანხმობა მივიღე. თოდუამ მარცხენა მცველის პრობლემა მოხსნა. ის გუნდს უკვე კარგად შეეწყო. სხვა ქართველების ჩემს გუნდში გადმოსვლაზე კი ლაპარაკი ჯერ ადრეა, სეზონი დამთავრდება და მერე ვნახოთ. არაა გამორიცხული, ორი-სამი ფეხბურთელი წამოვიყვანო.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე საშუალო დონის ფეხბურთელს შეუძლია რუსული პრემიერლიგის საშუალო გუნდში ადგილის დამკვიდრება?**

— შეუძლია, როგორ არა. თითქმის ყველა ქართველ ფეხბურთელს დიდი პოტენცია აქვს, ოღონდ ეგაა, რომ ბიჭები ქართულ კლუბებში დაბეჩავებულნი არიან. მათ არც კი იციან, რეჟიმი რა არის, რა უნდა ჭამო, რა დალიო, კალორია რა არის. რა თქმა უნდა, ყველა ქართულ გუნდზე არ ვლაპარაკობ, ვიცი, რომ ბოლო ხანს „დინამოში“ ძალიან ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. რუსეთში ჩამოსული ქართველი ფეხბურთელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარდატეხა იქნება. აქ ისინი თავიანთ გემოზე ვერ იქნებიან.

**— ბოლოხანს რუსულ და ქართულ ფეხბურთს შორის სხვაობა ხომ კიდევ უფრო თვალშისაცემია...**

— რა თქმა უნდა. რუსეთის პირველ დივიზიონშიც კი უკეთესი ფეხბურთია, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ფეხბურთისთვის საჭირო ელემენტალური პირობა რუსეთსა და საქართველოს შორის ცასა და დედამიწასავით განსხვავებულია. ჩაცმა-დახურვიდან დაწყებული, იგივე კვებით დამთავრებული ყველაფერი უმაღლეს დონეზეა. აქედან გამომდინარე, ფეხბურთელიც უკეთ მომზადებულია და მწვრთნელსაც სამუშაოდ მეტი გაქანება აქვს. თავის დროზე ლატვიაშიც ვმუშაობდი, მერე საუდის არაბეთში, ახლა რუსეთში, ამათ შორის ყველაზე დაბალი დონე, სამწუხაროდ, სწორედ საქართველოშია.

**— თქვენც, ალბათ, კაი ხანს აღარ ჩამოხვალთ...**

— ვერ გეტყვით, ვნახოთ, როგორ იქნება. „ურალანთან“ ხანგრძლივი კონტრაქტი არ გამიფორმებია. თუ დააკმაყოფილებთ ელისტელებს ჩემი მუშაობა, დავრჩები, თუ არადა... საერთოდ, ხომ იცით, როგორაა, კლუბის ხელმძღვანელობა დიდ, ხმაურიან მიზნებს რომ გისახავს, მუშაობისთვის შესაბამისი პირობებიც უნდა შეგიქმნას. ზოგი გუნდის პრეზიდენტს კი ეს არ ესმის, ან არ უნდა რომ ესმოდეს. ვნახოთ, ილუმჟინოვთან და „ურალანის“ სხვა ხელმძღვანელებთან ჩემი ურთიერთობა როგორ გაგრძელდება.

**კობა ინასარიძე**


გიორგი ქინქლაძემ გოლი გაიხსენა

# ქინქლაძეს სეზონ-სეზონ გააქვს

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔᲛ** გოლი გაიტანა. გიხაროდენ. 23 თებერვლის შემდეგ, როცა „დერბიმ" პრემიერლიგაში თამაშისას „ლესტერს" 3:0 სძლია და ერთი ბურთი ქართველის ანგარიშზე ჩაიწერა, ქინქლაძეს გოლის გემო დაკარგული ჰქონდა. „ლესტერამდე" კი ქინქლაძე ამ სიამოვნებას უფრო მეტ ხანს ელოდა — 2000 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებმა ლიტვაში 4:0 რომ მოიგო, ამ საქმეში მისი წვლილიც იყო. აი, ასეა: გიორგი ქინქლაძემ სამ გოლს წელიწადი და თერთმეტი თვე დააჭირვა.

პირველი დივიზიონში დაქვეითებული „დერბი" გუშინწინ ლონდონს ეწვია „კრისტალ პალასთან" სათამაშოდ. გიორგი ქინქლაძე კარგა ხნის შესვენების შემდეგ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვდა, „დერბიმ" კი 84-ე წუთზე ქართველის გატანილი ერთადერთი გოლით იმარჯვა.

„ქინქლაძე „დერბის" ხუთკაციანი ნახევარდაცვის წინამძღოლი იყო და მატჩში გამორჩეული. ჩვენი გუნდის ყველა შეტევას ქართველი ფეხბურთელი იწყებდა, ორჯერ კი დასრულა, აქედან ერთი — გოლით. მატჩი რომ მთავრდებოდა, მორისის კროსს ქინქლაძემ ტექნიკური დარტყმა მიაყოლა და „დერბის" გამარჯვებინა. გოლის შემდეგ ოთხ წუთში კი გრეგორიმ ის ევატით შეცვალა და ანგარიში შეინარჩუნა" — წერია „დერბის" ვებ-გვერდზე და ისიცაა აღნიშნული, ულიმლამო პერიოდის შემდეგ ქართველი ფეხბურთელი, ეტყობა, ფორმას ნელ-ნელა იბრუნებსო.

საკითხავია, რუსეთთან მატჩისთვის ქინქლაძე საერთოდ თუ გამოიძახეს, როგორ ფორმაში იქნება.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤ ᲓᲐᲣᲛᲘ ᲨᲢᲣᲠᲛᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ

## ᲛᲣᲯᲘᲠᲡ ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘ ᲒᲐᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ

*ბოლოხანს გრაცის „შტურმის" ძირითად შემადგენლობაში ადგილდამკვიდრებულ დავით მუჯირს დღეს უეფას თასის მატჩი ელის შოტლანდიურ „ლივინგსტონთან". თუმც ქართველი ფეხბურთელის გუნდი ჯერაც უმთავარმწვრთნელოდაა. ავსტრიის ჩემპიონატის ბოლო ტურში შინ „კერნტენთან" 1:3 მარცხის შემდეგ ივიცა ოსიმი გასახდელში შევიდა, ფეხბურთელებს დაემშვიდობა და პოსტი დატოვა. მას მერე „შტურმს" ოსიმის თანაშემწე ავარჯიშებს და სწორედ ის უთავკაცებს გუნდს შოტლანდიელებთან ჯახშიც...*

*გუშინ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲯᲘᲠᲡ ავსტრიაში დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ.*



**— ივიცა ოსიმის წასვლის შემდეგ ითქვა, რომ „შტურმს" ცნობილი გერმანელი სპეციალისტი კრისტოფ დაუმი ჩაუდგება სათავეში...**

— საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „შტურმს" მართლაც გერმანელი გაწვრთნის. თავად კლუბის პრეზიდენტმაც განაცხადა ჩვენთან შეხვედრაზე, რომ დაუმთან მოლაპარაკებები დაწყებულია.

**— როდის გადაწყდება ეს საკითხი?**

— ამ კვირაში ყველაფერი უნდა გაირკვეს. პირობები უკვე შეთანხმებულია. ახლა მხოლოდ დაუმის პასუხს ველით.

**— როგორი რეაქცია გამოიწვია სკანდალებში გახვეული მწვრთნელის „შტურმში" შესაძლო მოსვლამ?**

— სხვათა შორის, უარყოფითად ამ ფაქტს არავინ გამოხმაურებია. გულშემატკივრებიც იმედოვნებენ, რომ დაუმი ამ წინადადებას დათანხმდება.

**— კრისტოფ დაუმის უარის შემთხვევაში კლუბს, ალბათ, სათადარიგო ვარიანტიც ექნება...**

— ოფიციალური ინფორმაცია ამის შესახებ არ მაქვს, თუმც, აქაური გაზეთები წერენ, რომ საუბარი ცნობილ ჰერბერტ პროჰასკასა და კონსტანტინუზზეა, რომელიც ადრე ვენის „აუსტრიას" წვრთნიდა.

**— ივიცა ოსიმი კონკრეტულად „კერნტენთან" მარცხს შეეწირა თუ...**

— არა, მას მანამდეც ცუდად ჰქონდა საქმე. გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობაში ბევრი სწორედ ოსიმს ადანაშაულებდა. უბრალოდ, მისი წასვლა ამ მარცხმა უფრო დააჩქარა.

**— არადა, ბოლოხანს მისი ნდობა დაიმსახურე და ძირითადშიც გამოჩნდი...**

— ამას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არც ვანიჭებ. თუკი ფორმაში ვიქნები, ალბათ არც ახალი მწვრთნელი იტყვის ჩემზე უარს. ყოველ შემთხვევაში, როცა ვითამაშე, ჩემით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. იმედი მაქვს, ასეც გაგრძელდება.

**— რამდენიმე წლის წინ უეფას თასზე თბილისში კრისტოფ დაუმის „ლევერკუზენს" მშვენიერი გოლიც გაუტანე...**

— კარგი იქნება, თუ ეს დაუმს ახსოვს, თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, ახლა როგორ ფორმაში ვარ.

**— უეფას თასზე „ლივინგსტონთან" მატჩზე რას იტყვი?**

— ძნელი თამაში გველის. „ლივინგსტონი" ცუდი გუნდი არაა, თუმც უძლეველიც რომ არ ეთქმის, ფაქტია. უბრალოდ, ჩვენ ვთამაშობთ ცუდად. იმედი მაქვს, ეს შეხვედრა ჩვენი წარმატებების დასაწყისი იქნება. მთელი გუნდი მონდომებულია და მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**ᲙᲐᲮᲐ ᲖᲐᲚᲐᲛᲒᲔᲠᲘᲫᲔ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 14 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

## ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

# ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ

ᲤᲝᲗᲘ. 18 სექტემბერი. 17.00 საათი. ᲤᲐᲖᲘᲡᲘ. 500 (ტევადობა 6 000)

## ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 1:0 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

1:0 გონჩაროვი (72)

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ: გრიშიკაშვილი, ქუტიძე, გოროზია, სვანიძე, მ. ქობულაძე, შ. ლონდაძე, გაბიდაური, ფანჩულიძე, ე. გვასალია, გაგუა, გონჩაროვი
სათადარიგონი: სანიკიძე, კვერნაძე, კრასოვსკი, გურგენიძე, ბაზილაია
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: სოსო ფილია

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, რ. ონიანი, გოგიჩაიშვილი, ვალერი ქორიძე (მ. ბურნაძე 79), ზ. ლაცაბიძე, რუსია (მორჩილაძე 29), ზ. ჯანაშია, დავითაშვილი
სათადარიგონი: ლ. მიქაძე, ტიტვინიძე, გოგიჩაიშვილი
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ზაურ სვანიძე

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: გვასალია (40), ჯანაშია (50), ორბელაძე (62), გაბიდაური (62), ონიანი (67), გრიშიკაშვილი (90)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 16-20; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 1-5; კარში დარტყმა: 3-1; თამაშგარე: 2-8

**ᲛᲝᲠᲩᲐ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ** ფოთიდან

**ᲒᲣᲨᲘᲜ** „ფაზისზე" წმინდა ქართული ბურთაობა გაჩაღებულიყო, რომლის საცქერლად მისულ ხუთასიოდე ფოთელ ქომაგთა შორის, მავანი დანიელი სტუმრებიც ერივნენ. ჰოდა, ამ სანახაობის შემხედვარე ისე ტკბილადაც ეძინათ, თქვენი მოწონებული. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, რომელიც ისე ულიმლამოდ წარიმართა, დანიელებს კი არა, ქართველებსაც ძილისპირული ეხიზმრებოდათ.

არადა, ფოთში საინტერესო ბრძოლის მოლოდინში იყვნენ. კოლხებს ხომ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და რკინიგზელთათვის ნამდვილი ომი უნდა გაემართათ. „ლოკომოტივს" მართალია, აქამდე მხოლოდ ქულა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ კიდევ ერთი მოგება, ცხადია არ აწყენდა. თანაც ზაურ სვანიძეს ზურგსუკან ესმოდა სამწვრთნელოდ გამზადებული ცაკარიასის სუნთქვა, რომელიც ლოჟიდან ადევნებდა თვალს, სავარაუდოდ, მომავალი გუნდის ფეხბურთელების თამაშს. ალბათ, სვანიძესაც გულით სურდა თავისი ამბიციების დამტკიცება, მაგრამ აქედან რა გამოუვიდა, თავად ხვდებით.

კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ „მერანთან" თამაშის შემდეგ ცვლილებები მოახდინა, განსაკუთრებით უკანა ხაზში და გაუმართლა კიდეც. საკმაოდ საიმედოდ გარჯილმა „კოლხეთის" მცველებმა გასაქანი არ მისცეს რკინიგზელთა შემტევებს. გოროზიამ კი პირწმინდად ამოკეტა ზაზა ჯანაშია, რომელიც წამდაუწუმ თამაშგარეში ხვდებოდა და მსაჯებთან კამათის გარდა, მეტს ვერაფერს ახერხებდა.

შესვენებამდე სანახაობრივად იმდენად მწირი ბრძოლა გაჩაღდა, რომ ერთადერთ ხიფათისმაგვარ ეპიზოდს თუ გაიხსენებს კაცი. ეს მომენტი 34-ე წუთზე მოხდა, როცა რკინიგზელ მცველთა უგერგილობით კოლხებმა კინაღამ ისარგებლეს. საჯარიმოს წინა ხაზთან გაბიდაურმა ბურთი მოიგდო და მარჯვენიდან საჯარიმოში შერბენილ გვასალიას გაუჭრა კიდეც. ელდარმა ფეხებში ჩაწოლილ მცველს წამით დაასწრო და მახვილი კუთხიდან კარშიც დაარტყა. ლომაიას ხელიდან ბურთი ძელს შეეხო და ისე გადავიდა კუთხურზე.

მეორე ტაიმში თამაში ოდნავ კი გამოცოცხლდა, მაგრამ ეს უფრო ორთაბრძოლების გამწვავების ხარჯზე მოხდა და არა საგოლე მომენტების სიმრავლისა. ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ორი საგოლე ეპიზოდით გამოიხატა. აქედან პირველად სტუმრებმა სცადეს გატანა. ჯანაშიამ მოხდენილი ქუსლურით ლაცაბიძე ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა. ამას ჯეროვანი დარტყმა არ გამოუვიდა, მაგრამ დამატებაზე გოგიჩაიშვილს დაუცველი კარის დალაშქვრა მაინც მართებდა, თუმცა, ბურთი კარის ხარიხას გვარიანად გადააშორა.


ლუის ცაკარიასმა დამარცხებული „ლოკომოტივი" პირველად ნახა

აი, მეორე ეპიზოდს მატჩის ერთადერთი გოლიც მოჰყვა. კოლხთა მორიგ იერიშს თითქოს სახიფათო არ ეთქმოდა. სვანაძემ ერთი შეხედვით უზუსტო პასი მიაწოდა ფანჩულიძეს, რომელმაც ბურთი მოიხელთა თუ არა, იქვე გაგუას გადააწოდა. ვალერიმ კი ერთი შეხებით თვე საჯარიმოში ჩაჰკიდა და ეულად დარჩენილმა გონჩაროვმა ცენტრალურ მცველთა წამიერი შეყოვნებით ისარგებლა, ბურთს მოხდენილი თავური შეაგება და ლომაიაც ადგილზე გააშეშა.

ცხადი გახდა, რომ წყალში ჩაიყარა რკინიგზელთა ის მცირედი ტერიტორიული უპირატესობა, რომელიც გოლამდე იყო. დარჩენილ ათ წუთში შეუძლებელი ჩანდა თამაშის გადარჩენა და ის კი არა, გაგუას კიდევ შეეძლო ლომაიას დამწუხრება, მაგრამ ისე ვერ მოუქნია ბურთს ფეხი, როგორც საჭირო იყო.

თუმცა, ამით არც არაფერი დაუშავებია, რამეთუ ერთი გოლიც საკმარისი აღმოჩნდა რკინიგზელთა წაუგებელი სვლა-გეზის შესაჩერებლად. „კოლხეთს" ეს სამი ქულა ლამისაა „კოლხურ მალამოდ" მოეცხოს. გუნების გამოსაკეთებლად სოსო ფილია და მისი შეგირდები უკეთესს ვერც ინატრებდნენ.

| ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ | ᲡᲣᲚ | | | | | | | ᲨᲘᲜ | | | | | | | ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ | Თ | Მ | Ფ | Წ | Ბ | Ს | Ქ | Თ | Მ | Ფ | Წ | Ბ | Ს | Ქ | Თ | Მ | Ფ | Წ | Ბ | Ს | Ქ |
| 1 ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 14 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 7 |
| 2 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | 6 | 5 | 1 | 0 | 13:1 | 12 | 16 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 |
| 3 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ | 6 | 4 | 1 | 1 | 10:2 | 8 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 |
| 4 ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 9 |
| 5 ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ | 7 | 4 | 0 | 3 | 7:10 | -3 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 6 ᲡᲘᲝᲜᲘ | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 7 ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 10 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | -9 | 0 |
| 8 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | -5 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 9 ᲓᲘᲚᲐ | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | -8 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 10 ᲛᲘᲚᲐᲜᲘ | 7 | 1 | 1 | 5 | 2:12 | -10 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 4 |
| 11 ᲑᲝᲠᲓᲐ | 7 | 1 | 0 | 6 | 2:13 | -11 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | -10 | 0 |
| 12 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | 7 | 0 | 3 | 4 | 3:7 | -4 | 3 | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 0 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „ბორდას" და „მილანს" ჩამოეჭრათ 0,3 ქულა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 14 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

აღმოსავლეთი ზონა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ: გორდა 2 — კრწანისი 3:0; ზოოვეტი — აკადემია 4:1; შაქარბადა — კახეთი 2002 1:1; სიონი 2 — სამგორი 6:0; პერეთი — ურთობა 7:0; ნორჩი დინამოელი — სიხუმი 2 5:0; მაუდი — დინამო 3 2:1

ცენტრალური ზონა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ: ყაზბეგი — მესხეთი 1:1; ცხუმი — ცხინვალი 2 1:0; ვიტ ჯორჯია 2 — ვაკე 91 3:2; ვარძია — მცხეთა 2 0:0; ოლიმპი — პრემა 1:0; თორი — ლიახვი 6:0; დილა 2 — ფეხბურთის აკადემია 1:4

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ: მესხეთი — ფეხბურთის აკადემია 1:1; ლიახვი — დილა 2 4:1; პრემა — თორი 1:1; მცხეთა 2 — ოლიმპი 1:0; ვაკე 91 — ვარძია 5:0; ცხინვალი 2 — ვიტ ჯორჯია 2 0:4; ყაზბეგი — ცხუმი დღეს გაიმართება

დასავლეთი ზონა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ: დინამო (ზ) — კოლხეთი 2 1:0; ჩიხურა — სალხინო 5:1; მეშახტე — სულორი 1:0; მილეროელი — ინტერი 1:0; ბათუმი 2 — ოდიში 2002 1:2; ლუკა — შევარდენი 2:1; რაჭა — სქური (სქურის დაგვიანების გამო მატჩი არ შედგა); სსუ — დინამო (ს) გადაიდო

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ: ოდიში — სსუ 3:1; ინტერი — ბათუმი 2 3:1; სულორი — მილეროელი 2:2; სქური — მეშახტე 2:0; სალხინო — რაჭა 3:2; კოლხეთი 2 — ჩიხურა 1:1; შევარდენი — დინამო (ს) 1:0; ლუკა — დინამო (ზ) 2:0


# ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ „ცისკართან"

☎ (231) 7 17 58

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ



*17 სექტემბერს პატრიკ იუინგმა მანჰეტენის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში პრესკონფერენცია გამართა და მსოფლიოს ამცნო აქტიური სპორტიდან წასვლის ამბავი. არავის გაჰკვირვებია, არავინ დარჩენილა ნაწყენი, არც პრეტენზიები გამოუთქვამს ვინმეს, ცრემლი ხომ სახსენებელიც არაა. მომცრო დარბაზში უარყოფითი ემოციების ადგილი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთს და მის აუდიტორიას გამოეთხოვა თავისი ეპოქის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოთამაშე. იუინგმა 17 წელი დაახარჯა ნბა-ს, საკუთარი, რაც იყო, ყველაფერი მისცა კალათბურთს და კალათბურთისგანაც საკმაოდ მიიღო. ახლა კი 40 წლისას პენსიაზე გასვლის დრო დაუდგა. ყველამ თბილად გააცილა დიდი კალათბურთელი*

# ნავედიო, თქვა და გაიღიმა

## პატრიკ იუინგი ისტორიაში და 50-ში დარჩა



### პატრიკ ალოისიუს იუინგი

დაიბადა 1962 წლის 8 მაისს კინგსტონში, იამაიკაში

სიმაღლე — 213 სანტიმეტრი; წონა — 215 კილოგრამი; ამპლუა — ცენტრი

ნბა-ს გუნდები: ნიუ იორკი (1985-2000), სიეტლი (2000-01) და ორლანდო (2001-02)

1985 წლის დრაფტში პირველ ნომრად აიყვანა „ნიუ იორკმა"; გახდა 1985-86 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა

1984 და 1992 წლების ოლიმპიადების ჩემპიონი; 1984 წელს სტუდენტური ლიგის ჩემპიონი.

ოლ სტარის 11-გზის მონაწილე; შვიდჯერ შეიყვანეს ნბა-ს პირველ და მეორე სიმბოლურ ხუთეულებში

1997 წელს ნბა-ს 50 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიალზე დაასახელეს ნბა-ს ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის

1997-2001 წლებში იყო ნბა-ს მოთამაშეთა ასოციაციის პრეზიდენტი.

**რით** დაამახსოვრა პატრიკ იუინგმა თავი თანამედროვეთ? ამ 213-სანტიმეტრიანი და 115-კილოგრამიანი ცენტრალური თავდამსხმელის, როგორც მოთამაშის, გარკვეულწილად გაზომვა ციფრებით და ტიტულატურითაც შეიძლება. მას აქვს შესანიშნავი, თუმც არა უნიკალური მაჩვენებლები და მიღწევები,

1997 წელს იუნგი შეიყვანეს ნბა-ს ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშეს შორის. პატრიკი ამ 50-ში პირველთა შორის არ არის, მაგრამ არც ბოლოებშია. საერთოდ, უმჯობესი იქნება, თუ ხელს ავიღებთ დიადთა სიაში იუნგისთვის კონკრეტული ადგილის გამონახვაზე, რადგან ამისთვის საკმარისად ღრმად არა ვართ ჩახედული იმ საქმეში, რომელიც იუინგმა და რამდენიმე მისმა თანამედროვემ ახალ განზომილებაში გადაიყვანა, მაგრამ ერთს კი ვიტყვით — თანამედროვე ნბა-ს აკლია ასეთი კალათბურთელები.

დრო მოუვიდა და წავიდა. ბოლო ორი წელი იუინგი გუნდიდან გუნდში გადადიოდა, ხშირად ტრავმიანობდა და თამაშის მეტ ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებდა, ალბათ, უნდოდა, საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ ის ბოლომდე დაიხარჯა და ბოლომდე დაიფერფლა. იუინგისგან ვერ გამოვიდა მეორე ქარიმ აბდულ-ჯაბარი, რომელიც 40 წელს აცილებულიც შიშის ზარს სცემდა მეტოქეთ. პატრიკი პატრიკი იყო და მან გამოსცადა ქრონიკულად მტკივანი მუხლებით თამაში და შემდეგ სიბერის გამო ვერთამაშიც. ბოლო სეზონში „ორლანდოში" ერთ რიგით შეხვედრაში ის არ ათამაშეს, მწვრთნელს არ დასჭირდა ასეთი პატრიკ იუინგი, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელად ყოფილი თანაგუნდელი და კარგი მეგობარი დოკ რივერსი იყო. ამიტომაც ბებერ ხარს არ გასჭირვებია ძველ ცხოვრებასთან გაყრა. ნიუ იორკში პრესკონფერენცია მოაწყო, ხალხს გამოუცხადა, წაველიო და ყველამ კეთილი ღიმილით გააცილა იგი.

პრესკონფერენციაზე იყვნენ მისი ძველი მეგობრები, ოდესღაც თანაგუნდელი და მარჯვენა ხელი ჩარლზ ოკლი და შედარებით ახალგაზრდა, პატრიკთან მუდმივად მოქიშპე (მოედანზე) ალონზო მურნინგი. იუინგი აგრეთვე ისურვებდა, გუშინწინ იქ ეხილა სხვა ბებერი ხარები მაიკლ ჯორდანი, ჰაკიმ ოლაჯუონი, კარლ მელოუნი, ჩარლზ ბარკლი, დევიდ რობინსონი, ჯონ სტოქტონი, სკოტი პიპენი... ამ ხალხთან ერთად ეს შეუხედავი გიგანტი ისტორიას ქმნიდა, 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადას იგებდა. პატრიკი ალბათ სიამოვნებით გაიხსენებს თავის ნბამდელ წარმატებებს 1984 წელს ჯორდანთან ერთად მას ჯერაც სტუდენტს, ლოს ანჯელესის ოლიმპიადა მოუგია, ხოლო ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე მისმა ჯორჯთაუნმა ოლაჯუონის ჰიუსტონი დაამარცხა სტუდენტური ლიგის ფინალში.

პატრიკ იუინგს არ დასწყდება გული, რომ ბოლო სეზონში „ორლანდოში" თამაშისას მატჩში საშუალოდ 6 ქულას და 4 მოხსნასღა თუ აგროვებდა. მას ალბათ საუკეთესო წლებზე თუ გაუჩნდება უკმაყოფილების გრძნობა. ასე მოხდა, მისი დრო მაიკლ ჯორდანისას დაემთხვა და პატრიკმა ვერ შეძლო, ნბა-ს ჩემპიონი გამხდარიყო. 1994 წელს, როცა კალათბურთის ჯადოქარი შვებულებაში იყო, პატრიკმა თავისი „ნიუ იორკი" ფინალში გაიყვანა და იქ ძველი მეტოქის, ჰაკიმ ოლაჯუონის „ჰიუსტონს" შეარკინა. აი, ეს იყო ფინალი, ნამდვილი ტიტანთა ბრძოლა. პატრიკმა შვიდ თამაშში 30-ჯერ დაუფარა ჰიუსტონელებს და ნბა-ს ფინალების რეკორდი დაამყარა. გადამწყვეტი მატჩის წაგებამ მასზე მეტად არავის დასწყვიტა გული.

15-წლიან იუინგურ ეპოქაში „ნიუ იორკი" მეორედაც გავიდა ფინალში, 1999 წელს, მაგრამ მაშინ იუინგს ტრავმის გამო ხეირიანად არ უთამაშია „სან ანტონიოსთან" წაგებული ფინალი.

15-წლიანი ერთგულების და „ნიუ იორკის" ყველა დროის საუკეთესო მექულედ ქცევის შემდეგ იუინგი 2000 წელს „სიეტლში" გადავიდა, ეს უკვე მისი ბრწყინვალების დასასრული იყო.

ყველამ შეიტყო, პატრიკ იუინგი აღარ ითამაშებს კალათბურთს მაგრამ იგი არ მოსწყდება კალათბურთს, „მტრის ოჯახში", მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონში" სამუშაოდ მიდის, მწვრთნელის ასისტენტი იქნება და ჯორდანს პარტნიორების დაფრთიანებაში ხელს დაახმარს.

**ირაკლი ფირცხალავა**



პატრიკ იუინგი (მარცხნივ) და ჰაკიმ ოლაჯუონი: დუელი-კლასიკა



ნუგზარ კანდელაკი

*ასე მოკრძალებული არასდროს ყოფილა „ბასკო". ბათუმელების სეზონისწინა განაცხადი მუდამ ერთი იყო — ჩემპიონობა... ახლა კი ბათუმში ამბობენ, ოთხეულში მოვხვდეთ და მერე ვნახოთო. „მერე ვნახოთში", ცხადია, ჩემპიონობა ილანდება, არა იმიტომ, რომ ზღვისპირეთში უძლიერესი შემადგენლობა შეუკრავთ, არამედ სხვანაირი „ბასკო" როგორია, არავინ იცის: სამწლიანი არსებობა — სამგზის ჩემპიონობა.*

*რუსი მწვრთნელი და ნამყვანი მოთამაშეები კი წაუყვანიათ ბასკოელებს, მაგრამ არც ცუდი შევსება მიუღიათ.*

*ზღვისპირელებმა თურქეთში ერთკვირიანი შეკრება გაიარეს და მობრუნებულზე მთავარ მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკს გავესაუბრეთ*

# ვინცა ვართ, ესა ვართ

## მერე ვნახოთ... სამგზის ჩემპიონმა პირველად მოიკრძალა

— **ანკარაში** ვიყავით და ძირითადად სათამაშო პრაქტიკაზე ვიმუშავეთ, ექვს დღეში ექვსი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ თურქეთის პირველი და მეორე ლიგების გუნდებთან და მხოლოდ ერთში ვიმარჯვეთ.

**— ის ერთი პირველლიგელი იყო, თუ მეორე?**

— პირველი ლიგის ორ გუნდს ვეთამაშეთ, „ბუიუქ კოლეჯს" და „თედ კოლეჯს" და ორივესთან წავაგეთ. ისე, ამ ორსა და იმ მეორელიგელს შორის, ჩვენ რომ მოვუგეთ, დიდი სხვაობა არცაა. ეს კოლეჯის გუნდები შარშანდელ თურქეთის პირველობაზე აუტსაიდერები იყვნენ, ქვემოლიგელები კი დიდი აზარტით გვეთამაშებოდნენ.

**— ექვსიდან ხუთი მარცხი ცოტა უხერხული შედეგია...**

— ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ როგორც ჩვეულებრივ ამხანაგური მატჩებისას ხდება, ეს შეხვედრები ჩვენც მოსამზადებლად და ტაქტიკა-სტრატეგიის დასამუშავებლად გამოვიყენეთ. იკითხავთ, მოწინააღმდეგეებიც იგივე სიტუაციაში არ იყვნენო? იყვნენ და შედეგს არც ისინი აქცევდნენ პრინციპულ მნიშვნელობას, თამაშების უმრავლესობა 4-5 ქულით დავთმეთ, ერთმა მოგვიგო მხოლოდ 8 ქულით.

**— ესე იგი, თურქეთში ჩატარებული მატჩებიდან საჭირო გამოცდილებას შეიძენდით. „ბასკო" ხომ, ასე ვთქვათ, შეთამაშების პროცესშია, შემადგენლობა, ფაქტობრივად, გამოიცვალა.**

— მართალია, „ბასკო" სრულიად ახალი გუნდია. თურქეთში გამართულ შეხვედრებში უამრავი კომბინაცია გამოვცადეთ და დავამუშავეთ, თანაც უამრავი წუნიც აღმოვაჩინეთ. ახლა შორს წაგვიყვანს კომბინაციებზე საუბარი, როგორც ვთქვი, უმრავლესობა ახალწვეულია და პასიდან დაწყებული, ზონური დაცვით დამთავრებული, ყველაფერი შესათამაშებელდასახვეწი აქვთ.

**— რა განსხვავება იყო საქართველოს ჩემპიონსა და თურქეთის სუსტ გუნდებს შორის?**

— უპირველესი და ალბათ უმთავრესიც ფიზიკური მომზადება. ისინი ჩვენზე საგრძნობლად მაღლა დგანან ამ კომპონენტში. ტექნიკით კი ბევრით ვერაფრით გვჯობდნენ, უბრალოდ, შეთამაშებულნი არიან და გამოცდილება აქვთ ჩვენზე მეტი... მთავარია, იმ მატჩებში დანახული შეცდომებიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ, რაც უკვე მწვრთნელების საქმეა.

**— დავით ბერძენიშვილი ამას წინათ „ბასკოდან" „თედ კოლეჯში" გადავიდა. მან თუ ითამაშა თქვენს წინააღმდეგ?**

— „ბერძენამ" ითამაშა და კარგადაც. იგი, როგორც გამოჩნდა, კარგად მოერგო ახალ გუნდს, ორივე მხარე კმაყოფილია.

**— „ბასკოს" სტამბოლში ჩასვლა და „ულქერთან" თამაში ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ზაზა ფაჩულიამ გვითხრა, დაგვავიანებიათ და „ულქერი" სლოვენიაში გაემგზავრა...**

— „ულქერთან" და სხვა სტამბოლურ კლუბებთანაც გვინდოდა თამაში, მაგრამ სტამბოლში აღარ ჩავედით. იქ კოკისპირულად წვიმდა და წყალდიდობა იყო მოსალოდნელი, ჩვენც ამიტომ შევიკავეთ თავი გამგზავრებისგან.

**— საქართველოს ჩემპიონატი 5 ოქტომბერს იწყება, შემადგენლობა დაკომპლექტებულია?**

— განაცხადში თექვსმეტი კალათბურთელის შეყვანა შეგვიძლია. ჩვენ კი ჯერ თორმეტნი ვართ და ჯერჯერობით ვინმეს დამატებას არ ვაპირებთ.

**— ალბათ, მეორე წრეს მოუცდით, შარშანაც ხომ ასე მოიქეცით: ამერიკელები, ჯეფ როჯერსი და ნიკ დილონი დაიმატეთ.**

— მაშინ ეგ კალათბურთელები თავიდანვე შეგულებულნი გვყავდა, მაგრამ ახლა სხვაგვარადაა საქმე. არც ლეგიონერებთან და არც აქაურებთან შეთანხმებულნი არა ვართ.

**— ესე იგი, აღარავის დაიმატებთ?**

— ამჟამად ამაზე არავინ ლაპარაკობს, ესენი ვიქნებით, ვინც ვართ. ახალი კალათბურთელების შემატება ფინანსებზეა დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ წაგვივა საქმე.

**— გამოდის, ჩემპიონობის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლა გელით. მაინც რას უმიზნებთ?**

— პირველ ეტაპზე ოთხეულში მოხვედრას, მერე კი ვნახოთ...

**ირაკლი ბერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ღია პირველობა 14 - 21 სექტემბერი. საპრიზო 25 000 $

# მაკა ჩახნაშვილმა თერმომეტრით მოიგო

## ჯორჯია: წაგებული და გაძარცული



გუშინ მაკა ჩახნაშვილმა სიცხესაც აჯობა და ორ მეტოქესაც

**მეორე წრე**

**მაკა ჩახნაშვილი** (6, საქართველო) — ლანა პოპადიჩი (ხორვატია) 7:6 (7:5), 6:1; **გაბრიელა ნავრატილოვა** (ჩეხეთი) — შელი სტეფენსი (ახალი ზელანდია) 7:5, 3:6, 6:3; **ციპორა ობზილერი** (5, ისრაელი) — გალინა ფოსკობოევა (რუსეთი) 6:4, 6:3; **ალიონა იარიშკა** (ბელარუსი) — ნინა ბრატჩიკოვა (რუსეთი) 6:4, 6:1; **კატრინა დაშკოვიჩი** (7, იუგოსლავია) — ჯორჯია მორტელო (იტალია) 6:4, 6:7 (4:7), 6:4; **ელენა ანტიპინა** (უკრაინა) — ტატიანა უვაროვა (ბელარუსი) 6:1, 2:6, 6:4; **სკარლეტ ვერნერი** (გერმანია) — ჯენი ოდონოპიუ (8, დიდი ბრიტანეთი) 3:6, 6:2, 6:3; **ნადეჟდა ოსტროვსკაია** (ბელარუსი) — გულნარა ფატახუტდინოვა (რუსეთი) 6:3, 6:2

თბილისურმა წვიმამ, გუშინწინ ტურნირის ორგანიზატორებს დავთრები რომ აურია და ოთხი მატჩი მეორე დღისთვის გადაადებინა, გუშინ დაინდო მონაწილეები და მაშინ დაუშვა, როცა ყველა მეოთხედფინალისტი გამოვლინდა.

განრიგში ჩამორჩენის გამოსასწორებლად საჩოგნაო დღე დილის თერთმეტ საათზე დაიწყო. ოთხი გადადებული მატჩიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მაკა ჩახნაშვილისა და ნანა უროტაძის შეხვედრა იყო. როცა მატჩი შეწყდა, ჩახნაშვილი 6:1, 3:1 ამარცხებდა მეტოქეს. მაკამ, რომელიც შეუძლოდ მყოფი, სიცხიანი თამაშობდა, წინა დღეს დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა: უროტაძეს მეორე სეტი 6:2 მოუგო და მეორე წრეში გავიდა.

სანამ ჩახნაშვილი მეგობარს ამარცხებდა, უქმად მყოფმა სხვა მონაწილეებმა უმალ გამონახეს გასართობი. ვისაც სხვათა თამაში არ აინტერესებდა, ნარდით შეიქცია თავი. სხვათა შორის, უმეტესობამ წესები არ იცოდა და მხოლოდ კამათლის გორებით ხალისობდა. „ინსტრუქტორობას“ კი იქვე მოტრიალე თბილისელი ჯეელები უწევდნენ და გოგონების მაგივრად აკეთებდნენ სვლებს. ვისაც გამოძინება ვერ მოესწრო, ხის სკამებზე წამოწვა და წათვლიმა.

ჩასათვლემად არ ეცალა ჩახნაშვილს: უროტაძის დამარცხებიდან სულ რაღაც ერთ საათში სამეოთხედფინალო მატჩმა მოუწია.

ცენტრალური კორტის შევსებული ტრიბუნები ტაშით და შეძახილებით შეხვდნენ კორტზე გასულ ჩახნაშვილს, რომელსაც ავადმყოფობა აშკარად დასტყობოდა.

საგანგებოდ მაკას საქომაგოდ ცენტრალურ კორტს მიაშურეს ლეილა მესხმა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა.

პირველი სეტი ჩვენებურისთვის ცუდად დაიწყო. მაკას ხორვატი მეტოქე ლანა პოპადიჩი მარჯვედ იქნევდა ჩოგანს და მალევე 2:0 დაწინაურდა. ამაში ბრალი ჩახნაშვილისა უფრო იყო: თავისი მოწოდებები გააფუჭა და ერთხელაც ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

მაკამ უკანახაზიდან სცადა ვითარების გამოსწორება და ეს ისე კარგად მოახერხა, ქომაგებს ტაში არ დანანებიათ. პოპადიჩის მეტწილად ერთფეროვან შეტევებს ჩვენიანმა ეფექტური მოჭრილ-შემოვლებული დარტყმები დაუპირისპირა და სულ მალე 0:2 5:3-ად აქცია. სეტის მაკას სასარგებლოდ დასრულებას თითქოს არაფერი უკლდა, მაგრამ ჩახნაშვილს დაღლა დაეტყო და ლეილა მესხს მალიმალ ანიშნებდა, ფეხები აღარ მემორჩილებაო. მიუხედავად ამისა, მაკა გამუდმებით აქეთ-იქით დაარბენინებდა მეტოქეს, მაგრამ თან იმდენი იოლი დარტყმა გააფუჭა და იმდენ ბურთს გააყოლა თვალი, რომ პოპადიჩს ეს ზედიზედ სამი გეიმის მოსაგებად ეყო. გადამწყვეტ მომენტში ჩახნაშვილს მეორე სუნთქვა გაეხსნა და ბადესთან რისკიანი გასვლით და თავზე ბურთის გადატარებით გაათანაბრა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. აქ კი ნაღდად გაუმართლა ჩვენიანს. პოპადიჩი 4:1 იგებდა, როცა მაკას მეხუთეც ჩაუგდო, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა, რაკი მეზობელი კორტიდან ბურთი გადმოვარდა და, გათამაშება შევწყვიტეთო.

ალბათ, ამან აჭრა ხორვატი და აკი ექვსი ბურთი გააფუჭა. მეორე სეტში კი პოპადიჩი ჩახნაშვილის შემჩერებელი აღარ იყო. მაკას შეტევებსა და ეისებს მეტოქემ ვერაფერი დაუპირისპირა და უსიტყვოდ წააგო.

არანაკლებ დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა იტალიელი ჯორჯია მორტელოს და იუგოსლავიელი კატრინა დაშკოვიჩის ჩოგნაობა. სამსეტიან შეხლას მთელი 3 საათი (!) მოანდომეს და ამათი ჭყვიტინი და გმინვა კორტიდან შორსაც ისმოდა. დაშკოვიჩი მე-7 ნომრადაა განთესილი, მაგრამ განუთესავ იტალიელთან გვარიანად გაუჭირდა. ეგ კი არა, გადამწყვეტ სეტში მორტელო 3:1 იგებდა, მაგრამ კუნთი დაეჭიმა და ხანგრძლივი მასაჟის შემდეგ კოჭლობით მოთამაშემ ბოლო-ბოლო წააგო. მორტელოს ავი ამბები ამით არ დასრულებულა: გასახდელში ხელში აყვანილი რომ მიიყვანეს, მისი ჩანთა აღარ იყო, ვიღაცას მოეპარა. მასში ცოტაოდენი ფული და საბუთები იდო.



თამაშამდე ერთი პირი გამოძინება არავის აწყენს

**ბაჩო სვანიძე**

# ჰიუიტი უკვე შანხაიშია

**პაც** მეჩოგნეთა ამქრის უსტაბაში ლეიტონ ჰიუიტი პირველი მოთამაშე გახდა, ვინაც შანხაის მასტერსთასზე მონაწილეობა უკვე ამთავითვე დაიბევა.

შეგახსენებთ, რომ მასტერსთასი ATP-ის ერთგვარ სეზონფინალს წარმოადგენს და მასში პირველობას ერთმანეთს ჩემპიონთა რბოლაში პირველ შვიდ ადგილზე გასული მეჩოგნე პლუს ზეოცეულში ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომი იმწლევანდელი მესლემტიტულე ეცილება.

შარშან ამ რვაკაცა ტურნირს სიდნეიმ უმასპინძლა და იქ ყველას იმავე ჰიუიტმა აჯობა. სხვათა შორის, შუშპარა ოზი იმ წელს ყველაზე ახალგაზრდა მეჩოგნე შეიქნა იმათ შორის, ვისაც კი სეზონი კაცთა რეიტინგსიის სათავეში დაუსრულებია.

წლეულს ტურნირი შანხაის ახალ ექსპოცენტრში, 12-დან 17 ნოემბრამდე გაიმართება.

აშშ-ის ღია პირველობაზე ნახევარფინალამდე ნაბულრავები ჰიუიტი ახლა 690 სარბოლო ქულას მოიძევს და 136-ით უსწრებს მეორეზე მყოფ ანდრე აგასის. არ დაგავიწყდებოდათ — ხსენებულ ნახევარფინალში ოზი სწორედ არმენოამერიკელმა იმსხვერპლა და ამ გამარჯვებით საკუთარ საშანხაიო შანსებსაც მეტი წონა შესძინა.

ჩინურქალაქში სააპარეზოდ მძლავრი ნაბიჯი გადადგა საამერიკო სლემტურნირის ფინალში აგასის მძლეველმა პიტ სამპრასმაც, რომელსაც ბოლოს ტურნირის მოგებისთვის დარიცხულმა 200 ქულამ ჯამში 347 ქულა დაუუნჯა და რბოლაში 32-ე ადგილიდან მე-12-მდე ალაზევა.

წლის დანარჩენ სლემტურნირებზე ნახეირალთაგან მეროლანგაროსე ალბერტ კოსტას 393 ქულა აქვს და მეხუთე ადგილს იყოფს, მეავსტრალიე ტომას იოჰანსონი კი, ვინაც აშშ-ის ღია პირველობა ტრავმის გამო გამოტოვა, 312 ქულით მე-14 ადგილზე იმყოფება.

ისე კი — სეზონის ბოლომდე ორი, მადრიდისა და პარიზის მასტერსტურნირი, ორი საერთაშორისო სერიის „ოქროტურნირი“ და კიდევ 9 საერთაშორისო სერიის ისე-რა ტურნირი დარჩა.

რბოლა საინტერესოდ უნდა წარიმართოს, რაკიღა მესამე და მეთორმეტე ადგილებზე მყოფთ ერთმანეთისგან მხოლოდ 83 ქულა განასხვავებთ.

მასტერსტურნირის მომგებს, ბარემ ამასაც გეტყვით, სარბოლო მონაგარი 100 ქულით უმდიდრდება ხოლმე.



ლეიტონ ჰიუიტი

# სერენას წამიერი უჯიგრობა

## რა გააძლობს ქალთა მეპირველეს



სერენა უილიამსი

**TOYOTA PRINCESS CUP**

ტოკიო. პარდი

საპრიზო 585 ათასი $

**პირველი წრე**

**ტატიანა პანოვა** (6, რუსეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:2, 1:6, 6:4; **ტამარინე ტანასუგარნი** (7, ტაილანდი) — ადრიანა სერაძანეტი (იტალია) 6:2, 7:6 (7:3)

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — პატრისია ვარტუში (ავსტრია) 6:0, 6:2; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთი) 6:2, 6:7 (1:7), 6:4

ქალთა ამქრის გაუმაძღარი მეპირველე სერენა უილიამსი, ვინაც წლეულს უკვე ექვსი ტიტული მიითვალა და ამ ექვსიდან სამი ზედიზედ აოხრებული სლემტურნირებიდან წამოიღო, მაინც არ ცხრება. ამჯერად ის მის მიერ ორი წლის წინ დაწიოკებულ ტოკიოში ჩასულა და იქაური „ტოიოტა პრინსეს კაპის“ მითვლას ლამობს.

აშშ-ის ღია პირველობის წარმატებული ფინალის შემდეგ ნათამაშებ თავის პირველ შეხვედრაში მან ავსტრიელი პატრისია ვარტუში მოაშთო. მოშთობა სულ 50 წუთი გაგრძელდა. მერე კი სერენამ ასეთები ილაპარაკა:

„დღეს დილით მარტინა ნავრატილოვას გავესაუბრე და მან მითხრა, რომ ყველაზე მურდალი სათამაშო სლემტიტულის მოგების შემდეგ გასამართი მატჩია. მსგავსი რამ მოგვიანებით, ვარჯიშისას ვიგრძენი. იცით, ეს რაღაც არამოტივირებულობის, უჯიგრობის, უსურვილობის გრძნობაა. უმალ მარტინა გამახსენდა და დავწყნარდი, მეთქი, ასეთი რამ მარტო მე არ დამმართნია...“.

მის პარალელურად რუსმა ელენა ლიხოვცევამ შარშანდელი ფინალისტი, მერვე ნომრად განთესილი ჭარმაგი ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო აოტა. მატჩმა ძალზედ დიდხანს, ორ საათსა და 15 წუთს გასტანა.

შარშანდელ ფინალში არანჩამ სექსიუგ ელენა დოკიჩთან წააგო — 4:6, 2:6. თავის სამეორწრეო შეხლას ტიტულის დამცველი რუს ლინა კრასნორუცკაიასთან გამართავს.

**ლევან ძილაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაა?! სიურპრიზი გლდანისგან

## ქართული გუნდი ევროტურნირის ორივე მატჩს შინ ითამაშებს

მართლაც გაუგონარი ამბავი — საქართველოს სახელბურთო კლუბი ევროტურნირის ორივე მატჩს თავის მოედანზე გამართავს. არადა, ჩვენი ტრადიციული უფულო უბედურების მიზეზით თითქმის ყოველთვის პირიქით ხდება — ქართველი ხელბურთელები მეტოქეებს ორჯერვე მათ ტერიტორიაზე ეთამაშებიან და რა გასაკვირია, რომ წინასწარვე განწირულები არიან მარცხისთვის. სულ სამი-ოთხი შემთხვევა გვახსენდება, როცა ჩვენმა გუნდებმა მასპინძლის უფლებით ისარგებლეს და თითო შეხვედრა თბილისში ჩაატარეს.

ამჯერად საქმე ასე გახლავთ: ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების საწყის ეტაპზე საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსან „გლდანს" წილისყრამ მეტოქედ ლუქსემბურგის „ბაშარაჟი" არგუნა. მატჩები მიმოსვლით, 5 და 12 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო. ლუქსემბურგელები თავიდან ჩვენებს თავისთან ეპატიჟებოდნენ, მაგრამ რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ გლდანელთა შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდნენ და ორივე შეხვედრა 12 და 13 ოქტომბერს თელავში გაიმართება.



ახალბედა გლდანელები ევროპელ მეტოქეებს ორჯერვე შინ შეუტევენ

— რატომ თელავში? — ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი „გლდანის" მთავარ მწვრთნელ ლევან აბესაძესთან.

— მოგეხსენებათ, თბილისში სწორედ იმ დღეებში საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა მეტად პრინციპული საფეხბურთო და სარაგბო შესარჩევი მატჩები ტარდება და, ბუნებრივია, ისედაც ჩრდილში მყოფი ხელბურთისთვის არავის ეცლება. სასპარეზოდ კონკრეტულად თელავის არჩევა კი პირველ რიგში, ცხადია, ჩინებულმა, შარშან გარემონტებულმა დარბაზმა განაპირობა, აგრეთვე იქაურმა სახელბურთო ტრადიციებმა და კახურმა სტუმართმოყვარეობამ; რასაკვირველია, იმანაც, რომ გუნდის ოთხი მოთამაშე თელაველია. თანაც თბილისელი მაყურებელი საერთაშორისო შეჯიბრებებს ხშირად ადევნებს თვალს, ხოლო თუ ჩვენ საქართველოში ხელბურთის აღორძინება გვინდა, რეგიონებზეც უნდა ვიფიქროთ, უკეთეს პროპაგანდას კი სხვა ვერაფრით გავუწევთ. გულშემატკივარმა ასეთი დონის მატჩები თუ არ იხილა და გამარჯვების სიხარულიც არ განიცადა, ისედაც განადგურების პირას მყოფი ეს სახეობა ბოლოს საერთოდ ჩაკვდება. იმედი გვაქვს, რომ ორი შეხვედრის შედეგებით მეტოქეს ვაჯობებთ და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავალთ, რაც საქართველოში ხელბურთის პოპულარიზაციისთვის ერთი პატარა ნაბიჯი იქნება.

**— სარბიელის შერჩევისას ალბათ პოლიტიკური მხარეც, კერძოდ, პანკისის ხეობასთან თელავის სიახლოვეც გაითვალისწინეთ.**

— რასაკვირველია, ესეცაა. გვინდა ყველამ ნახოს, რომ საპანიკო არაფერია. დარწმუნებული ვართ, ყბადაღებულ „პანკისის პრობლემის" ყურისძირში, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, თამაშები მაღალ დონეზე და ჩვეულებრივ, მშვიდ ატმოსფეროში ჩაივლის.

**— სტუმართა ოცკაციანი დელეგაციის და მსაჯების დაბინავება-გამასპინძლება ცოტა არ დაგიჯდებათ.**



ლევან აბესაძის შეგირდებს გამარჯვების შანსი გაუორმაგდათ

გია ახალაძის ფოტო

— რა თქმა უნდა, ხარჯი დიდია, მაგრამ კლუბს გარკვეული თანხა ნაშოვნი რომ არ ჰქონდეს, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდით. მაქსიმალურად შევეცდებით, ცხადია, თელაველების დახმარებით, საკადრისი მასპინძლობა გავუწიოთ ლუქსემბურგელებს, რათა კმაყოფილებმა დატოვონ საქართველო.

**— ბოლოს გუნდის მზადებაზეც გვითხარით.**

— სავარჯიშოდ თავისი დარბაზი უსასყიდლოდ დაგვითმო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კლუბის ხელმძღვანელობამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. თამაშებამდე ერთი კვირით ადრე კი თელავში გავემგზავრებით და იქ გავაგრძელებთ მზადებას. რაც შეეხება შემადგენლობას, იმედი მაქვს, რომ გუნდი სამი ცნობილი ხელბურთელით გაძლიერდება. ერთ-ერთი მათგანია წლების მანძილზე საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი. ტიტე კალანდაძეს პორტუგალიურ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ამჟამად თბილისში ინტენსიურად ვარჯიშობს და ახალ გუნდთან ხელშეკრულების გაფორმებამდე „გლდანში" ითამაშებს. ნაკრების ასევე ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის, ბექა ორჯონიკიძის დახმარების დიდი იმედიც გვაქვს.

**გია ახალაძე**

ჭიდაობა

# დარჩიამ ექვსი გამოარჩია

**ახლახან** იყო, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბაზელში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატიდან გუნდური ვერცხლით რომ დაგვიბრუნდა. მერე თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ელდარ კურტანიძემ გაგვახარა მსოფლიოს ჩემპიონობით. ახლა კი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეების ჯერია: ხვალ მოსკოვში იწყება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც სამ დღეს გასტანს და კვირას დასრულდება.

საქართველოს ნაკრები გუშინ გაფრინდა მოსკოვს. ნაკრების მწვრთნელმა ბეჟი დარჩიამ ტურნირზე ექვსი ფალავანი წაიყვანა: ირაკლი ჭოჭუა (55 კგ), აკაკი ჩაჩუა (60 კგ), მანუჩარ კვირკველია (66 კგ), ბადრი ხასაია (74 კგ), მუხრან ვახტანგაძე (84 კგ), რამაზ ნოზაძე (96 კგ).

საამტურნიროდ ნაკრები ჯერ სომხეთში, წახკაძორის ცნობილ სპორტულ ბაზაზე მოემზადა. მერე რამდენიმე ჩვენიანმა პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე იჭიდავა, საიდანაც ბელარუსში გადაინაცვლეს და სტაიკების სპორტკომპლექსში გაიარეს შეკრება. ბოლოს ნაკრები თბილისში, ფალავანთა კლუბში ვარჯიშობდა.

**ბაჩო სვანიძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

# ახლა იაპონიაშიც

კლასიკურ მანქანთა რბოლა ახლა იტალიურ „მილე მილას“ კვალად იაპონიაშიც გაიმართება. ეს იქნება იტალიურის შელობილი რბოლა, რომელიც შუა ოქტომბერში იაპონური კუნძულების 1600 კილომეტრს გაედევნება. 1956 წელს გამოშვებულ „ალფა რომეოში“ კი მოშლერალი კონდო მასაიკო იწონებს თავს.






# ჯილდაობა

პოლონელი იარეკ დიმეკი ასოცკილოგრამიან საჯილდაო ქვას მორევია, ვითარცა ერთი ძველი ხიზამბარელი. მსოფლიოს უჯანიანეს მამაკაცთა და დედაკაცთა შეჯიბრი მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში მიმდინარეობს და მასში ოცდაათი კაცი და რვა ქალი მონაწილეობს. ჯილდაობის სახეობებია: სიმძიმის სროლა, ქვის ტარება, ლოდის აწევა და მისთანები.

# ჯეკის ნატყორცნი

რახან ბეისბოლი გახურდა, ისიც ცხადია, რომ მოედნებზე გამოჩენილმა ადამიანებმა იწყეს დენა. აი, ჯეკი ჩანიც ოკლენდის „კოლიზეუმის“ მინდორზე გამოჭრილა და მთელი მონდომებით გაუხსნია მასპინძელ „ატლეტიკსისა“ და ანაჰეიმელ „ანჯელოზთა“ თამაში.






# ნახტომი

სტუდენტი ეძახე და დამჭერიც ასეთი უნდა: მაიამის უნივერსიტეტის მოთამაშე ეთენიკ სენდსი ფილადელფიის „ფრანკლინ ფილდსზე“ თავის გუნდს გამარჯვებაში ეხმარება. მაიამელმა ამერიკულად მობურთალეებმა კი გვარიანად მოუგეს მასპინძელ ტემპლის უნივერსიტეტს, 44-21.



# ისევ ხერესიდან

ხერეს დე ლა ფრონტერაში მსოფლიო საცხენოსნო თამაშები გრძელდება და ცხენზე ტანვარჯიშობის ჩემპიონსაც წარმოგიდგენთ: გერმანელი ნადია ზულოვი მართლაც დიდოსტია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge